პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 30-ე წელი

შაბათი, 20 მაისი, 1950 წ. № 104 (8664). ფასი 20 კაპ.

დ ღ ე ს გ ა ზ ე თ შ ი:

მორიგი წარმატებებით შევხვდეთ რკინიგზელის სტალინურ დღეს — მოწინავე (1-ლი გვერდი).
ა. ვ. სუვოროვის გარდაცვალების 150 წლისთავი (1-ლი გვერდი).
სამგორის სახალხო მშენებლობაზე (1-ლი გვერდი).
პარტიული ცხოვრება (მე-2 გვერდი).
სანიმუშოდ მოვამზადოთ სკოლები ახალი სასწავლო წლისათვის! (მე-2 გვერდი).
მარკ პოპოვსკი—სიცოცხლის სათავეებთან (მე-3 გვერდი).
საკოლმეურნეო დოვლათის გამფლანგველები სასტიკად უნდა დაისაჯონ (მე-3 გვერდი).
უცხოეთის ამბები — დეპეშები (მე-4 გვერდი).

მორიგი წარმატებებით შევხვდეთ რკინიგზელის სტალინურ დღეს

რკინიგზის ტრანსპორტის გამართულ მუშაობაზე, პარტიისა და მთავრობის მიერ რკინიგზელთა წინაშე დასახული ამოცანების წარმატებით განხორციელებაზე მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული ხუთწლედის ვადამდე შესრულება, მთელი სახალხო მეურნეობის შემდგომი განუხრელი აღმავლობა, ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის წარმატებით მშენებლობა. დიდი სტალინი გვასწავლის, რომ „საბჭოთა კავშირი, როგორც სახელმწიფო, წარმოუდგენელი იქნებოდა გარეშე პირველხარისხოვანი სარკინიგზო ტრანსპორტისა, რომელიც ერთ მთლიან ერთეულად აკავშირებს მრავალრიცხოვან ოლქებსა და რაიონებს".

ჩვენმა რკინიგზის ტრანსპორტმა, რომელიც განსაკუთრებით დაზარალდა დიდი სამამულო ომის წლებში, ლენინ-სტალინის პარტიის, საბჭოთა მთავრობის, პირადად დიდი სტალინის ყოველდღიური მზრუნველობით შეძლო ომით მიყენებული ჭრილობების მოშუშება, აღიჭურვა ახალი, მძლავრი საბჭოთა ტექნიკით და სახელოვნად ასრულებს დაკისრებულ მოვალეობას. ნათქვამის საილუსტრაციოდ საკმარისია აღინიშნოს, რომ შარშან რკინიგზის ტრანსპორტმა წინა წელთან შედარებით 17 პროცენტით გაადიდა ტვირთბრუნვა და მნიშვნელოვნად გადააჭარბა ომამდელ დონეს, ხოლო მიმდინარე წლის პირველ კვარტალში გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ტვირთბრუნვის ზრდამ 13 პროცენტი შეადგინა.

საბჭოთა კავშირის რკინიგზელთა მრავალრიცხოვან ოჯახში ერთ-ერთი მოწინავე ადგილი უჭირავთ ამიერკავკასიის რკინიგზელებს. შარშან მათ გადაჭარბებით შეასრულეს როგორც დატვირთვის, ისე მგზავრთა გადაყვანის სახელმწიფო დავალებანი, გაადიდეს შრომის ნაყოფიერება, შეამცირეს ტვირთზიდვის თვითღირებულება, თვალსაჩინოდ გააუმჯობესეს მგზავრთა მომსახურება, რენტაბელური გახადეს გზის მუშაობა, სახელმწიფოს მისცეს მილიონობით მანეთი დაგროვება.

მაგრამ მოპოვებული წარმატებანი გაცილებით უფრო მეტი იქნებოდა, რომ ჩვენი გზის მუშაობას ჯერ კიდევ მთელი რიგი არსებითი ნაკლოვანებანი არ გააჩნდეს. მთავარი და ძირითადი ნაკლი არის ვაგონების ბრუნვის გეგმის შეუსრულებლობა, რაც შარშან საგეგმო დავალებას 19 საათით ჩამორჩებოდა. დამახასიათებელია, რომ ვაგონების ბრუნვის საგეგმო დავალებას გზის ვერც ერთი განყოფილება ვერ ასრულებს. ამ მხრივ განსაკუთრებით არადამაკმაყოფილებელი მაჩვენებლები აქვს გზის სამტრედიის განყოფილებას, სადაც ძალიან ხშირია მატარებლების მოძრაობის გრაფიკის დარღვევა, სადგურებში მატარებელთა ზედმეტად შეჩერება, დატვირთვა-გადმოტვირთვის გაჭიანურება და ამ ნიადაგზე ვაგონების მოცდენა. მართალია, ამ მიმართულებით აპრილში ერთგვარ გარდატეხას მიაღწიეს გზის ზოგიერთ უბანზე, მაგრამ ეს საკმაო როდია.

ტრანსპორტის მუშაობის მეორე ძირითადი ნაკლია ხუთასოვან მემანქანეთა მოძრაობის სუსტად განვითარება ჩვენს რკინიგზებზე. როგორც ცნობილია, ამ ფრიად საყურადღებო მოძრაობას, რომელიც გასული წლის დასაწყისიდან წარმოიშვა საბჭოთა კავშირის რკინიგზებზე, ამიერკავკასიის რკინიგზის ლუნინელი მემანქანეებიც გამოეხმაურნენ და ლოკომოტივების 500 კილომეტრი სადღეღამისო გარბენისათვის სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაებნენ. ცალკეულ დღეებში ისინი სარეკორდო მაჩვენებლებს აღწევენ, მაგრამ იმის გამო, რომ მოწინავე მემანქანეთა ამ პატრიოტულმა თაოსნობამ საჭირო მხარდაჭერა ვერ ჰპოვა მოძრაობის სამსახურის ყველა მუშაკის მიერ, ხუთასოვანთა მოძრაობა ვერ გახდა მასობრივი, დღემდე იგი ძირითადად ერთეული რეკორდებით ამოიწურება.

მგზავრთა მომსახურების ერთგვარი გაუმჯობესების მიუხედავად, ჩვენს გზაზე ჯერ კიდევ ვხვდებით სამგზავრო მატარებლების მიმოსვლის გრაფიკის დარღვევას, მგზავრებისადმი უხეშ მოპყრობას, უბილეთო მგზავრობას. გზის მუშაობის ერთ-ერთი ნაკლია ისიც, რომ ყველგან ჯეროვან სიმაღლეზე არ დგას რკინიგზელთა შორის პოლიტიკურ-მასობრივი და აღმზრდელობითი მუშაობა. ყველა რკინიგზელს როდი ესმის ტრანსპორტის წინაშე დასახული ამოცანების უდიდესი მნიშვნელობა ჩვენი სამშობლოს შემდგომი წინსვლის საქმეში. ამის შედეგად იშვიათი როდია შრომისა და სახელმწიფო დისციპლინის დარღვევის, უხეში ადმინისტრირების შემთხვევები. ყველგან არ ჩანს აგრეთვე კომუნისტების ავანგარდული როლი.

როგორც მთელი ჩვენი სოციალისტური სახალხო მეურნეობის, ისე რკინიგზის ტრანსპორტის წინაშე ომისშემდგომი ხუთწლედის დამამთავრებელ წელს ახალი, უფრო დიდი და პასუხსაგები ამოცანებია დასახული. ამ ამოცანების სასახელოდ შესრულებისათვის ბრძოლა თვითეული რკინიგზელის საპატიო მოვალეობაა. ჩვენი გზის მოწინავე კოლექტივები, რომლებმაც სასახელო საწარმოო მაჩვენებლებით აღნიშნეს მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღე — პირველი მაისი, ახლა, რკინიგზელის ტრადიციული სტალინური დღის შესახვედრად კვლავ ახალი ძალით აჩაღებენ სოციალისტურ შეჯიბრებას, კისრულობენ კონკრეტულ ვალდებულებებს და იბრძვიან მათი განხორციელებისათვის. თბილისელმა მეორთქლმავლეებმა რკინიგზელის სტალინური დღის ღირსეული შეხვედრისათვის იკისრეს ორთქლმავლების აწევითი და გარეცხვითი შეკეთება გეგმის გადამეტებით, რემონტის თვითღირებულების შემცირება, ლოკომოტივთა ტექნიკური სიჩქარისა და სადღეღამისო გარბენის გადიდება, საწვავის დაზოგვა; მეელმავლეთა ვალდებულება მთელ რიგ სხვა ღონისძიებებთან ერთად ითვალისწინებს 250 მძიმეწონიანი მატარებლის რეისის განხორციელებას. რკინიგზელის დღისადმი მიძღვნილ შეჯიბრებაში ჩაებნენ აგრეთვე სამტრედიელი, ხაშურელი, სოხუმელი და ბათუმელი რკინიგზელები, გზის ყველა უბნისა და საწარმოს მუშაკები.

გზის სამეურნეო ხელმძღვანელების, პოლიტგანყოფილების, პარტიული და პროფესიული ორგანიზაციების მოვალეობაა უნარიანად ჩაუდგნენ სათავეში რკინიგზელთა ამ მზარდ საწარმოო და პოლიტიკურ აქტივობას, ყოველდღიურად, კონკრეტულად უხელმძღვანელონ სოციალისტურ შეჯიბრებას. უწინარეს ყოვლისა აუცილებელია მივაღწიოთ ვაგონების ბრუნვის დაწესებული ნორმების შესრულებას, მატარებელთა მოძრაობის გრაფიკის ზუსტად დაცვას, ხუთასოვან მემანქანეთა მუშაობის ყოველმხრივ წახალისებას, ამ მოძრაობაში არა მარტო მემანქანეების, არამედ მოძრაობის დარგის თვითეული მუშაკის ჩაბმას, ტვირთზიდვის თვითღირებულების შემდგომ შემცირებას, მასალების, საწვავისა და ელექტროენერგიის კომპლექსურ ეკონომიას.

21 მაისიდან ძალაში შევა მატარებელთა მოძრაობის საზაფხულო გრაფიკი. გაზაფხულ-ზაფხულის პერიოდში, განსაკუთრებით ამიერკავკასიის რკინიგზაზე მკვეთრად დიდდება სამგზავრო მატარებელთა მიმოსვლა, მგზავრების გადაყვანა. ეს გარემოება ავალებს რკინიგზელებს გადაჭრით გააუმჯობესონ მგზავრთა მომსახურება.

მიმდინარე წლის აგვისტოს პირველ კვირას საბჭოთა რკინიგზელები აღნიშნავენ თავიანთ ტრადიციულ დღესასწაულს — რკინიგზელის საკავშირო სტალინურ დღეს. ამ დღეს ისინი შეაჯამებენ მოპოვებულ მიღწევებს და დასახავენ ღონისძიებებს მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

მორიგი წარმატებებით აღვნიშნოთ რკინიგზელის სტალინური დღე, მთელი ენერგიით ვიბრძოლოთ რკინიგზის ტრანსპორტის მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის, ხუთწლედის დამამთავრებელი წლის ტვირთზიდვისა და მგზავრთა გადაყვანის გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის!

დაზგების მუშაობის სამართავი აპარატი

სტალინის სახელობის მოსკოვის დაზგა-ინსტრუმენტთა ინსტიტუტის უფროსმა მეცნიერმა თანამშრომელმა ლ. მ. კაუფმანმა გამოიგონა აპარატი, რომელიც ავტომატურად მართავს ლითონსაჭრელი დაზგების „აკ-3"-ის მუშაობას. ეს მექანიზმი შესაძლებელს ხდის ავტომატურად დამუშავდეს სახარატო დაზგებზე მრავალსაფეხურიანი ცილინდრული დეტალები 0,06 მილიმეტრამდე სიზუსტით დიამეტრსა და სიგრძეზე (მიუხედავად სიდიდისა). დამუშავების დამთავრების შემდეგ დაზგა თვითონ ჩერდება და საჭრისი საწყის მდგომარეობაში ბრუნდება.

აპარატის მუშაობის პრინციპი ელექტრომექანიკურია. მისი მომართვა მეტად მარტივად ხდება და ერთ წუთზე მეტი დრო არ სჭირდება. დეტალის საჭირო ოდენობა აპარატზე აღინიშნება, შემდეგ ჩაირთვება დაზგა და დეტალის მოხარატება ხდება ნახაზის მონაცემების მიხედვით ისე, რომ მუშის მონაწილეობა საჭირო არ არის.

ამხ. კაუფმანის აპარატი საშუალებას იძლევა, რომ ერთი მუშა ერთდროულად მოემსახუროს რამდენიმე სახარატო დაზგას, ამასთან ყველა დაზგაზე შეიძლება გამოყენებულ იქნას ჭრის ჩქაროსნული რეჟიმი.

ახალი აპარატების სერიულ წარმოებას შეუდგა საექსპერიმენტო ქარხანა. ამ აპარატებით აღიჭურვება სახარატო დაზგები „დიპ-200" და „16-16". (საქდესი).

ა. ვ. სუვოროვის გარდაცვალების 150 წლისთავი

საზეიმო სხდომა წითელი არმიის ცენტრალურ თეატრში

18 მაისს წითელი არმიის ცენტრალურ თეატრში გაიმართა დიდი რუსი მხედართმთავრის ა. ვ. სუვოროვის ხსოვნისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა.

დარბაზში შეიკრიბნენ საბჭოთა არმიის გენერლები და ოფიცრები, დედაქალაქის მშრომელთა წარმომადგენლები, სუვოროვის სამხედრო სასწავლებლების მოსწავლეთა დელეგაციები.

პრეზიდიუმში არიან ა. ვ. სუვოროვის გარდაცვალების 150 წლისთავის ჩამტარებელი საკავშირო კომიტეტის წევრები, საბჭოთა შეიარაღებული ძალების მარშლები, გენერლები და ადმირალები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეები, საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები, დედაქალაქის წარჩინებული ადამიანები.

სხდომა გახსნა ა. ვ. სუვოროვის გარდაცვალების 150 წლისთავის ჩამტარებელი საკავშირო კომიტეტის თავმჯდომარემ საბჭოთა კავშირის მარშალმა ვ. დ. სოკოლოვსკიმ.

მქუხარე, ხანგრძლივი ტაშით საპატიო პრეზიდიუმში ირჩევენ საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს ამხანაგ ი. ბ. სტალინის მეთაურობით.

მოხსენებისათვის სიტყვა ეძლევა არმიის გენერალ ვ. ვ. კურასოვს.

მომხსენებელმა დაახასიათა ა. ვ. სუვოროვის ცხოვრების გზა და მხედართმთავრული მოღვაწეობა და აღნიშნა, რომ სუვოროვის სამხედრო ხელოვნება ღრმა ეროვნულია. იგი იყო რუსეთის არმიისა და რუსი ხალხის მაღალი მორალური და საბრძოლო თვისებების განსახიერება. თავისი მხედართმთავრული მოღვაწეობით სუვოროვმა რუსეთის სამხედრო ხელოვნება დიდ სიმაღლეზე აიყვანა.

სუვოროვი იყო ნოვატორი მხედართმთავარი, ამბობს შემდეგ მომხსენებელი. იგი ჩვენი სამშობლოს ისტორიაში შევიდა არა მარტო როგორც დიდი მხედართმთავარი, არამედ როგორც ჯარების წვრთნისა და აღზრდის ნიჭიერი ოსტატი. მან შექმნა ჯარების წვრთნისა და აღზრდის რუსული სისტემა.

მხედართმთავრის მრავალი წლის გამოცდილება მან განაზოგადა 1796 წელს დაწერილ „გამარჯვების მეცნიერებაში". „გამარჯვების მეცნიერება" ჯარების საბრძოლო მოქმედებისა და ცხოვრების უმნიშვნელოვანესი წესების კრებულია, ჩამოყალიბებული მოკლედ, შესანიშნავი მკაფიო, სახოვანი ფორმით. „გამარჯვების მეცნიერებაში" ჩამოყალიბებულია სუვოროვის სამხედრო ხელოვნების უმნიშვნელოვანესი დებულებანი, სუვოროვის სტრატეგიისა და ტაქტიკის საფუძვლები.

საბჭოთა მეომრები, რომლებმაც მემკვიდრეობად მიიღეს რუსული სამხედრო ხელოვნების საუკეთესო ტრადიციები, დიდ პატივს სცემენ სუვოროვის ხსოვნას. უკვე პირველ „წითელარმიელის სასამსახურო წიგნაკში", რომლის ნიმუშიც 1918 წელს დაამტკიცეს ვ. ი. ლენინმა და ი. მ. სვერდლოვმა, შეტანილი იყო „გამარჯვების მეცნიერების" ძირითადი დებულებანი, ჩამოყალიბებული როგორც სამახსოვრო ჯარისკაცისათვის. სუვოროვის სამხედრო ხელოვნებას სწავლობენ ჩვენს სამხედრო აკადემიებში, მას მიეძღვნა საბჭოთა ავტორების მთელი რიგი წიგნები და სტატიები, რომლებმაც ახლებურად გააშუქეს რუსი მხედართმთავრის მოღვაწეობა.

მაგრამ სუვოროვის სახელმა ჩვენი ხალხისა და საბჭოთა არმიისათვის განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა მოიპოვა დიდი სამამულო ომის წლებში.

დიდმა სტალინმა, საბჭოთა სამხედრო მეცნიერების შემოქმედმა, დიდად დააფასა სუვოროვის მემკვიდრეობის მნიშვნელობა. ამხანაგმა სტალინმა სუვოროვის სახელი მოიხსენია დიდი რუსი ერის საუკეთესო წარმომადგენელთა შორის.

დიდი სამამულო ომის წლებში სუვოროვის მხედართმთავრულ ხელოვნებას გულდასმით სწავლობდნენ საბჭოთა გენერლები. სუვოროვის ცხოვრებასა და მოღვაწეობაში პოულობდნენ შთაგონებას ახალგაზრდა ჯარისკაცებიც, რომლებსაც მხურვალედ სურდათ შური ეძიათ ფაშისტ დამპყრობლებზე მშობლიური მიწა-წყლის შელახვისათვის. საბჭოთა მეომრებმა დაამტკიცეს, რომ ისინი ღირსნი არიან თავიანთი ცნობილი წინაპრებისა, რომ მათ უფლება აქვთ უწოდონ თავიანთ თავს სუვოროვის მხედრული დიდების მემკვიდრეები.

ჩვენს ქვეყანაში სუვოროვის ტრადიციები ხელმისაწვდომი გახდა საბჭოთა ოფიცრების ახალგაზრდა თაობისათვისაც. ამან თავისი გამოხატულება ჰპოვა პარტიის და მთავრობის გადაწყვეტილებით სუვოროვის სამხედრო სასწავლებლების შექმნის შესახებ.

— ჩვენ სუვოროვი გვიყვარს, უწინარეს ყოვლისა, იმიტომ,—ამბობს დასასრულ მომხსენებელი, — რომ ამ გამოჩენილმა ადამიანმა თავის თავში განასახიერა რუსი ხალხის საუკეთესო მეომრული თვისებები და უკვდავყო რუსი ჯარისკაცის სახელი. ჩვენ პატივს ვცემთ სუვოროვს, როგორც რუსული სამხედრო ხელოვნების ერთ-ერთ ფუძემდებელს, როგორც მგზნებარე პატრიოტს. ალექსანდრე ვასილის-ძე სუვოროვი მუდამ იცოცხლებს ჩვენი ქვეყნის ხალხთა ხსოვნაში!

სხდომის მონაწილეებმა დიდი აღფრთოვანებით მიიღეს მისალმება ყველა დროისა და ხალხთა უდიდესი მხედართმთავრის, საბჭოთა კავშირის გენერალისიმუს ი. ბ. სტალინისადმი.

(საქდესი).

მოსკოვში საძირკველი ჩაეყარა ა. ვ. სუვოროვის ძეგლს

18 მაისს მოსკოვში საზეიმოდ ჩაეყარა საძირკველი დიდი რუსი მხედართმთავრის, სამშობლოს სახელოვანი პატრიოტის ალექსანდრე ვასილის-ძე სუვოროვის ძეგლს.

...კომუნის მოედანი. მწვანესა და ფერად-ფერად ყვავილებში, დროშებით მორთული, მოედანი დღეს განსაკუთრებით დიდებულად გამოიყურება. წითელი არმიის ცენტრალური თეატრის მონუმენტური შენობის კოლონადაზე სუვოროვის დიდი პორტრეტია. დიდი ყვავილნარის ცენტრში აღმართულია ტილოგადაფარებული გრანიტის ლოდი.

17 საათისათვის მოედანზე ჯარები ჩამწკრივდნენ, ძეგლის საძირკველთან საპატიო ყარაული დგას. მის გვერდით იმ ნაწილების დროშებია, რომლებიც დიდი სამამულო ომის დღეებში საბრძოლო საგმირო საქმეებისათვის დაჯილდოებული იყვნენ სუვოროვის ორდენებით. აქვე ჩამწკრივებულან ნორჩი სუვოროველები, კალინინისა და ტულის სუვოროვის სასწავლებელთა მოსწავლეები. წითელი არმიის თეატრთან კი შეკრებილან დედაქალაქის რაიონების მშრომელთა დელეგაციები.

ტრიბუნაზე ადიან ა. ვ. სუვოროვის გარდაცვალების 150 წლისთავის ჩამტარებელი საკავშირო კომიტეტის წევრები. მშრომელთა დეპუტატების მოსკოვის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. იასნოვი ხსნის მიტინგს. პირველი სიტყვა ეძლევა ა. ვ. სუვოროვის გარდაცვალების 150 წლისთავის ჩამტარებელი საკავშირო კომიტეტის თავმჯდომარეს საბჭოთა კავშირის მარშალ ვ. დ. სოკოლოვსკის.

— მთელი საბჭოთა კავშირი,—ამბობს მარშალი სოკოლოვსკი, — დღეს აღნიშნავს მამაცი პატრიოტისა და სახელგანთქმული რუსი მხედართმთავრის გარდაცვალების 150 წლისთავს. სუვოროვის სიდიადე ის არის, რომ მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე იგი თავდადებით ემსახურებოდა ჩვენს ხალხს და ჩვენი სამშობლოს მგზნებარე პატრიოტი იყო.

ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი დიდად აფასებდა სუვოროვს, როგორც მხედართმთავარს. ამხანაგი სტალინი სუვოროვის სახელს იხსენიებს დიდი რუსი ერის შესანიშნავ წარმომადგენელთა შორის.

სუვოროვის მხედართმთავრული გენიისა და სამხედრო საგმირო საქმეების ცხოველმყოფელი წყარო იყო მხურვალე სიყვარული ჩვენი სამშობლოსადმი, რუსი ხალხისადმი. უწინარეს ყოვლისა, სწორედ ამისათვის ჩვენ წმიდად ვინახავთ სუვოროვის ხსოვნას.

სუვოროვის სახელი ძვირფასია მთელი ჩვენი ხალხისათვის, ყველა საბჭოთა მეომრისათვის. დიდი რუსი მხედართმთავრის ალექსანდრე ვასილის-ძე სუვოროვის ნათელი ხსოვნა მუდამ იცოცხლებს საბჭოთა ადამიანების გულსა და გონებაში.

საბჭოთა მთავრობის დადგენილებით ჩვენი სამშობლოს დედაქალაქ მოსკოვში, აქ, კომუნის მოედანზე, აიგება რუსი ხალხის დიდი შვილის, ერთ-ერთი ყველაზე შესანიშნავი მხედართმთავრის ალექსანდრე ვასილის-ძე სუვოროვის ძეგლი. ეს ძეგლი იქნება ჩვენი სამშობლოს წინაშე მისი თვალსაჩინო დამსახურების აღიარება. იგი იქნება მისი ნათელი ხსოვნისადმი ჩვენი დიდი პატივისცემის გამოხატულება.

თავისი სიტყვის დასასრულს მარშალი სოკოლოვსკი დღეგრძელობას უსურვებს ყველა დროისა და ხალხთა უდიდეს მხედართმთავარს საბჭოთა კავშირის გენერალისიმუსს ამხანაგ ი. ბ. სტალინს.

სიტყვის დამთავრების შემდეგ მარშალი სოკოლოვსკი და მოსკოვის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. იასნოვი ჩამოდიან ტრიბუნიდან, მიდიან გრანიტის ლოდთან და ხსნიან საფარს. დამსწრენი ხედავენ ოქროს წარწერას ქვაზე: „აქ აიგება დიდი რუსი მხედართმთავრის ალექსანდრე ვასილის-ძე სუვოროვის ძეგლი. საძირკველი ჩაეყარა 1950 წლის 18 მაისს". ამ მომენტში ორკესტრი ასრულებს საბჭოთა კავშირის ჰიმნს, ჰაერს არყევს საარტილერიო სალუტი.

მიტინგზე გამოვიდნენ აგრეთვე საკავშირო კ. პ. (ბ) მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მდივანი ამხ. რუმიანცევი, აკადემიკოსი ბ. დ. გრეკოვი, კალინინის სუვოროვის სასწავლებლის მოსწავლე მაკოვსკი.

მიტინგის დამთავრების შემდეგ მოედანზე კვლავ გაისმის საბჭოთა კავშირის ჰიმნი. შემდეგ ჯარებმა სუვოროვის პოლკების — სუზდალის, ლადოგისა და იზმაილის პოლკების ძველებური მარშების ჰანგებზე საზეიმო მარშით ჩაუარეს ძეგლის საძირკველს. მწყობრი რიგებით მოდიან სუვოროველი გოლიათები — ქვეითები, არტილერისტები, ტანკისტები, მფრინავები, მესაზღვრეები, ნორჩი სუვოროველები. (საქდესი).

თბილისის საქალაქო საბჭოს საზეიმო სხდომა

18 მაისს თბილისის ოფიცერთა სახლში გაიმართა მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს საზეიმო სხდომა თბილისის პარტიული, საბჭოთა, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და თბილისის გარნიზონის სამხედრო ნაწილების წარმომადგენლებთან ერთად, მიძღვნილი დიდი რუსი მხედართმთავრის ალექსანდრე ვასილის-ძე სუვოროვის გარდაცვალების 150 წლისთავისადმი.

საზეიმო სხდომის პრეზიდიუმში არიან ამხანაგები: ა. ანტონოვი, გ. ზამბახიძე, ე. ჩერქეზია, ა. ჯიშიაშვილი, ბ. კიზირია, გენერლები, მინისტრები, ქალაქ თბილისის პარტიის რაიკომების მდივნები, ხელოვნების, მეცნიერებისა და ლიტერატურის მოღვაწეები.

საზეიმო სხდომა გახსნა მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილემ ამხ. ბ. კიზირიამ.

საზეიმო სხდომის მონაწილეებმა საპატიო პრეზიდიუმში უდიდესი აღფრთოვანებით აირჩიეს საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო დიდი სტალინის მეთაურობით, აგრეთვე საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. კ. ჩარკვიანი.

მოხსენება დიდი რუსი მხედართმთავრის ა. ვ. სუვოროვის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ გააკეთა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების სარდალმა არმიის გენერალმა ანტონოვმა.

დამსწრეებმა ყურადღებით მოისმინეს მოხსენება, რომელშიც მკაფიოდ იყო დახასიათებული სამშობლოს სახელოვანი პატრიოტის სახე, ვისმა ისტორიულმა გამარჯვებებმაც სამუდამოდ მოუხვეჭეს სახელი რუსულ იარაღს.

მოხსენებაში დიდი ადგილი დაეთმო იმას, თუ როგორ გაამდიდრეს და გაამრავლეს საბჭოთა არმიის მეომრებმა დიდი სტალინის გენიალური წინამძღოლობით სუვოროვის სახელოვანი საბრძოლო ტრადიციები სამამულო ომის ძლევამოსილ ბრძოლებში.

უდიდესი აღმავლობის ვითარებაში საზეიმო სხდომის მონაწილეებმა მიიღეს მისალმება ყველა დროისა და ხალხთა უდიდესი მხედართმთავრის, ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა ხალხის გენიალური ბელადის ამხანაგ ი. ბ. სტალინისადმი.

საზეიმო სხდომის დამთავრების შემდეგ გაიმართა კონცერტი. (საქდესი).

„ხელოვნური სიცივე"

ტექნიკურ-თეორიული ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობამ გამოუშვა პროფესორ ნ. ს. კომაროვის წიგნი „ხელოვნური სიცივე". ავტორი მოგვითხრობს სამაცივრო საქმის ტექნიკის განვითარებაზე, მის მნიშვნელობაზე სახალხო მეურნეობაში, განსაკუთრებით კვების მრეწველობაში.

ჩვენი ქვეყნის სამხრეთ ქალაქებში, იმ კურორტებზე, სადაც ჰავის პირობების გამო ზამთარი არ იცის, შეიძლება მოეწყოს ხელოვნური ყინულის საციგურაო მოედნები. მაცივარი მანქანების საშუალებით შეიძლება შეიქმნას არა მარტო ხელოვნური საციგურაო მოედნები, არამედ ხელოვნური ჰავაც.

მოსკოვში კინოთეატრ „მეტროპოლში" შენობის სარდაფში მყოფი მაცივარი მანქანები გაცივებულ ჰაერს აწვდიან მაყურებელთა დარბაზს და შესაძლებელს ხდიან, რომ იქ ტემპერატურა მუდამ იყოს 17 გრადუს სითბოს დონეზე. (საქდესი).

სამგორის სახალხო მშენებლობაზე

ნ ა ო მ ა რ ზ ე

რამდენიმე დღის შემდეგ ახლად ჩამოსულ მრავალრიცხოვან კოლმეურნე მშენებელთა ურიამული მოიცავს სოფელ დიდ ლილოსა და მარტყოფს შუა მოთავსებულ გორაკებიან ველს. ცოდვიანთხევის მიდამოში ინჟინრები შ. ბაქრაძე და გ. შოშიაშვილი სამუშაო ფრონტს უმზადებენ ხილნალის რაიონიდან მომავალ კოლმეურნეებს. ჩამოვლენ კუნთმაგარი ქიზიყელები, რათა ამ უბანზე მიწის გული გადმოაბრუნონ, არხი გაიყვანონ და ხევს მოარეცხონ ისტორიული უკუღმართობით მიკუთვნებული სახელი.

ხალხური გადმოცემა მოგვითხრობს, რომ ამ ხევში, მრავალი საუკუნის წინათ, ირანელმა დესპოტმა დამპყრობლებმა თავი მოუყარეს ახლომახლო სოფლებიდან უმწეო ადამიანებს — ძუძუმწოვარ ბალღებს, დავრდომილ მოხუცებს და ხევში გაჟლიტეს ყველანი. მას შემდეგ უწოდა ხალხმა ამ ადგილს ცოდვიანთხევი. ისტორია გვაუწყებს, რომ ცოდვიანთხევში ჩადენილი ხაშინელებებისათვის შური იძიეს გიორგი სააკაძის მებრძოლებმა. ნახავურის ველს გადაღმა ვიწრო გამოხასვლელში საააძემ გზა გადაუღობა მარტყოფსა, საცხენისსა და სხვა ზემო სოფლებში მოთარეშე ურდოებს, მოამბეც აღარ გაუშვია მათგან ცოცხალი.

ამ ნაომარზე ახლა სამგორის ხარწყავი სისტემის ერთ-ერთი დიდი ნაგებობის — ნორიოს 800 მეტრიანი დიუკერის მშენებლობას იწყებენ. ხაშურელი კოლმეურნეების წარმომადგენელმა უკვე მიიზომა აქ თავისი წილი საარხე ნაკვეთი. მალე მებეტონეთა ბრიგადებიც მოვლენ, საყრდენებს ამოიყვანენ, არხის ორ ნაწილს სიფონით შეაერთებენ და ნაომარი ადგილი საბჭოთა ჰიდროტექნიკოსების ახალი შემოქმედებითი ნაყოფით დამშვენდება.

ზემო სამგორის მაგისტრალური არხის მთელ ტრასზე წელს დიდი სამუშაოებია გათვალისწინებული. იმ უბნებზე, სადაც შარშან გორელები, ხაშურელები, თეთრიწყაროელები და სიღნაღელები მუშაობდნენ, არხის კალაპოტის დიდი ნაწილი დაბეტონებულია, ხოლო მცირე ხევებში დიდდიამეტრიანი ლვარსაშვები მილებია აშენებული. ამჟამად მიმდინარეობს ამ მილებზე ნაყარი მიწის დატკეპნა, არხის ამ მცირე მონაკვეთებზე მისი კალაპოტის ამოსაყვანად საჭირო „ბალიშების" გამზადება.

მებეტონეთა მთელი ძალები ამჟამად გადაყვანილი არიან ხელოვნურ ნაგებობათა მშენებლობაზე, ვინაიდან მომავალი წლის ბოლოდან არხში წყლის გამოსაშვებად ყველაზე მეტად ხანგრძლივ სამუშაოებს ეს ობიექტები წარმოადგენენ.

მარტყოფის ხევს გაღმა, ახალსოფლის ბოლოს, სერის კალთაზე წითელ შენობათა მთელი ქალაქი ჩანს. ეს ახალი ქალაქია, სამგორის მშენებელთათვის გაშენებული დროებითი საცხოვრებელი უბანი, რომელიც გადახატან-გადმოხატანი, დასახლულ-ახაწყობი სახლებისაგან შედგება. ასეთივე მუშათა საცხოვრებელი ახალი დაბები ამშვენებენ სამგორის ერთფეროვან პეიზაჟს სხვადასხვა ადგილას. ყველგან ენთუზიაზმის აღმძვრელი სტახანოვური შრომაა გაჩაღებული, რათა მომავალი წლის ბოლოს „თბილისის ზღვისაკენ" ივრის წყალს გზა მისცენ, ხოლო შემდგომი გაზაფხულიდან სამგორის ველის პირველი ნაკვეთები მორწყონ.

ამ ამოცანის შესასრულებლად ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს ბოლნისელი და საგარეჯოელი კოლმეურნეები. ამისათვის იმუშავეს სამგორის ველზე ასე თავდადებით დუშელმა, გარეუბნელმა და გარდაბნელმა კოლმეურნეებმა.

ახლა სამგორში სიღნაღლელებთან ერთად ათასობით კოლმეურნენი მოდიან თეთრიწყაროდან და სამხრეთ ოსეთიდან. ვინ გვიჩვენებს მათ შორის შრომის მეტ ნაყოფიერებას, ამაზე შემდეგ.

დ. ლომთაძე

პარტიული ცხოვრება

ნაკლოვანებათა ბოლშევიკურად მხილების გზით

(ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის განყოფილების პარტიული აქტივის კრებაზე)

შედგა რკინიგზის თბილისის განყოფილების პარტიული აქტივის კრება, რომელმაც განიხილა რკინიგზელთა შორის პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის მდგომარეობისა და მისი შემდგომი გაძლიერების ღონისძიებათა საკითხი. მოხსენება გააკეთა რკინიგზის თბილისის განყოფილების პოლიტგანყოფილების უფროსმა ამხ. ი. გეტაშვილმა.

რკინიგზის თბილისის განყოფილების კოლექტივმა ოთხი თვის საწარმოო დავალება 113,5 პროცენტით შეასრულა. გაიზარდა ვაგონების სადღეღამისო ბრუნვა, მნიშვნელოვნად გადიდდა ტექნიკური სიჩქარე.

სამეურნეო წარმატება, რომელსაც რკინიგზის თბილისის განყოფილების კოლექტივი აღწევს, — ამბობს ამხ. გეტაშვილი, — პირველ რიგში იმით აიხსნება, რომ განყოფილებაში შემავალ საწარმოთა პარტიულმა ორგანიზაციებმა უკანასკნელ წლებში საგრძნობლად გააუმჯობესეს პარტიულ-პოლიტიკური და პარტიულ-ორგანიზაციული მუშაობა.

მომხსენებელი დაწვრილებით აშუქებს კომუნისტების მარქსისტულ-ლენინური თეორიით შეიარაღებისათვის გაწეულ მუშაობას და აღნიშნავს: პარტიული განათლების ქსელში წინა წლებთან შედარებით შესამჩნევად გაუმჯობესდა საქმე. გაიზარდა კომუნისტების ინტერესი ბოლშევიზმის ისტორიისა და თეორიის დაუფლებისადმი. ამჟამად წრეებისა და პოლიტსკოლების დიდი უმრავლესობა სასწავლო გეგმების ზუსტი შესაბამისობით განაგრძობს მუშაობას და წარმატებით ემზადება სასწავლო წლის ორგანიზებულად დამთავრებისათვის. ბეჯითად სწავლობენ წიგნზე დამოუკიდებლად მომუშავე ამხანაგები. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ პარტიული სწავლების საქმეში ყველაფერი რიგზე იყოს.

სადგურ ნავთლუღის პარტორგანიზაციასთან არსებულ პოლიტსკოლაში (პროპაგანდისტი ამხ. კვირკველია) მიმდინარე წლის თებერვალში 5-ჯერ ჩაიშალა მეცადინეობა, აქედან ოთხჯერ მსმენელთა გამოუცხადებლობის გამო, ხოლო ერთ მეცადინეობაზე თვით პროპაგანდისტი არ გამოცხადდა. ანალოგიური მდგომარეობაა ამავე სადგურის იმ პოლიტწრეში, რომელსაც პროპაგანდისტი ამხ. ჩახვაშვილი ხელმძღვანელობს. იმ წრემ, სადაც პროპაგანდისტად ამხ. ბუჩნევია, გასული წლის ოქტომბრიდან მიმდინარე წლის მარტამდე მთლიანად შეწყვიტა მუშაობა. სამწუხაროდ, ნავთლუღის კვანძის პარტიულმა კომიტეტმა და სადგურის პარტიულმა ორგანიზაციამ დუმილით აუარა გვერდი ამ ფაქტს, საჭირო ზომები არ მიიღო მდგომარეობის გამოსასწორებლად. თბილისის სატვირთო სადგურის პარტორგანიზაციასთან არსებობს ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის ბიოგრაფიის შემსწავლელი წრე, რომელშიც 32 მსმენელია გაერთიანებული. აქედან მეცადინეობას ხშირად 12-15 კაცი ესწრება. ამავე პარტორგანიზაციასთან შექმნილ პარტიის ისტორიის შემსწავლელ წრეში (პროპაგანდისტი ამხ. კრავეიშვილი) მსმენელთა გამოუცხადებლობის გამო ხშირად იფუშება მეცადინეობა. მიმდინარე წლის 19 აპრილს ამ წრის მეცადინეობაზე 12 კაციდან 2 გამოცხადდა. პარტიული ორგანიზაცია და მისი ბიურო (მდივანი ამხ. შელია) კომუნისტების მსჯელობის საგნად არ ხდის პარტიული სწავლების საქმეში არსებულ ამ სერიოზულ ნაკლოვანებებს.

ასევე ცუდად ხელმძღვანელობენ პარტიული განათლების საქმეს სადგურ ხაშურის, ახალციხის, მელაანის პარტიული ორგანიზაციები, სადაც ხშირად იფუშება მეცადინეობა, დაბალია პროგრამული მასალების შესწავლის ხარისხი, არადამაკმაყოფილებლად ემზადებიან სასწავლო წლის დამთავრებისათვის.

სერიოზული ნაკლოვანებანი ახასიათებს განყოფილების პარტიულ ორგანიზაციებს აგრეთვე საგიტაციო მუშაობის დარგში. თბილისის კონდუქტორთა რეზერვის და სამგზავრო სადგურის პარტიულ ორგანიზაციებში ჯეროვნად არ აფასებენ საგიტაციო მუშაობის მნიშვნელობას, სათანადოდ არ ეხმარებიან აგიტატორებს, კონტროლს არ უწევენ მათ მუშაობას. ამის შედეგია, რომ აქ აგიტაცია კამპანიურობით ხასიათდება, ზოგიერთ ჯგუფში კი სრულიად მივიწყებულია ეს საქმე. მაგალითად, აგიტატორმა მელქაძემ (კონდუქტორთა რეზერვი) თავის საგიტაციო უბანში 1949 წლის სექტემბრიდან შეწყვიტა მუშაობა, ხოლო აგიტატორი კუბლაშვილი ხშირად მოუმზადებელი ცხადდება მეცადინეობაზე. თბილისის სამგზავრო სადგურის აგიტატორები სიხარულიძე და მშვენიერაძე არ იმაღლებენ იდეური მომზადების დონეს, არ იცნობენ ჩვენი ქვეყნის საშინაო და საგარეო მდგომარეობას, აგიტაციას უშინაარსოდ ეწევიან. სადგურ ნავთლუღის ტექნიკური დათვალიერების პუნქტში საგიტაციო საუბრებს 4-5 წუთში ამთავრებენ. არადამაკმაყოფილებლად ხელმძღვანელობენ საგიტაციო მუშაობას სადგურ გორის, ხაშურის კონდუქტორთა რეზერვის და ბორჯომის საორთქლმავლო დეპოს პარტიული ორგანიზაციები.

საგიტაციო მუშაობის დაბალი დონე ზოგიერთ ობიექტზე იმითაცაა გამოწვეული, რომ პარტიული ორგანიზაციები სათანადო ყურადღებას არ აქცევენ აგიტკოლექტივების მუშაობას, არ აწყობენ მოწინავეთა გამოცდილების გაზიარებას. ხაშურის ქვეგანყოფილების პარტიულ ორგანიზაციებთან არსებულ აგიტკოლექტივში (ხელმძღვანელი სარალიძე) 1949 წლის მანძილზე სრულებით არ ჩაუტარებიათ მეცადინეობა. თბილისის სატვირთო სადგურის აგიტკოლექტივი თვეში ერთი მეცადინეობის მოწყობით კმაყოფილდება, სადგურ ნავთლუღში კი მიმდინარე წლის პირველ კვარტალში მხოლოდ ერთხელ იყო მეცადინეობა. საგიტაციო მუშაობის სუსტად დაყენების შედეგიცაა, რომ დასახელებული ობიექტების კოლექტივებს სამეურნეო საქმიანობაში სერიოზული ნაკლოვანებანი აქვთ: არის შრომის დისციპლინის დარღვევის, წუნის შემთხვევები და სხვ.

შემდეგ მომხსენებელი შეეხო შინაპარტიული მუშაობის ისეთ მნიშვნელოვან უბანს, როგორიცაა პარტიული კრების მომზადებისა და ჩატარების საკითხი, ილაპარაკა აგრეთვე კომკავშირული ორგანიზაციებისადმი ხელმძღვანელობისა და დახმარების საკითხზე, ვრცლად შეჩერდა სოციალისტური შეჯიბრებისადმი პარტიულ ხელმძღვანელობაზე.

სერიოზული ნაკლოვანებანი შინაპარტიულ მუშაობაში, რაც ჯერ კიდევ აქვთ რკინიგზის საწარმოთა და დაწესებულებათა პარტიულ ორგანიზაციებს, თქვა დასასრულ მომხსენებელმა, —იმითაც უნდა ავხსნათ, რომ თბილისის რკინიგზის პოლიტგანყოფილება ჯერ კიდევ სუსტად ეხმარება პირველად პარტიულ ორგანიზაციებს, ოპერატიულად ვერ ხელმძღვანელობს მათ.

მოხსენების გამო გაცხოველებული კამათი გაიმართა. პირველი გამოვიდა რკინიგზის ნავთლუღის კვანძის პარტიული კომიტეტის მდივანი ამხ. შ. დოლიძე. აღსანიშნავია, რომ ამხ. დოლიძემ თავის გამოსვლა ძირითადად მიუძღვნა სამეურნეო საქმიანობის საკითხებს და სტატისტიკურ მონაცემებს ცალკე ობიექტების მიერ საწარმოო დავალებათა შესრულების მიმდინარეობაზე, ხოლო შინაპარტიული მუშაობის საკითხებზე ძლიერ ცოტა ილაპარაკა. ამხ. დოლიძე შეეცადა გაემართლებია სადგურ ნავთლუღის პარტიული ბიუროს არადამაკმაყოფილებელი მუშაობა, რომელიც სამართლიანად იყო გაკრიტიკებული.

კვანძის პარტიული ორგანიზაციების დიდი უმრავლესობა, განაცხადა თბილისის კვანძის პარტკომის მდივანმა ამხ. ლ. ჭკუასელმა,—სწორად ათავსებს პარტიულ-პოლიტიკურ მუშაობას სამეურნეო საქმიანობასთან. ამის საილუსტრაციოდ მან დაასახელა მაგალითები კვანძის პარტიული ორგანიზაციების მუშაობის პრაქტიკიდან, შემდეგ ილაპარაკა ნაკლოვანებათა შესახებ კვანძის პარტიული კომიტეტისა და პირველადი პარტიული ორგანიზაციების მუშაობაში.

— ჯერ კიდევ დაბალ დონეზე დგას სამქროთა პარტორგანიზაციებისა და პარტიული ჯგუფების მუშაობა,—ამბობს ის. თბილისის სახალხო სადგურის პარტიული ჯგუფის (ჯგუფ პარტორგი ღუტიძე) ერთ-ერთ კრებაზე 20 წუთის განმავლობაში რვა საკითხი განიხილეს. ანალოგიური მდგომარეობაა სადგურის სხვა პარტიულ ჯგუფების მუშაობაშიც. სადგურის პარტბიურო კი საჭიროდ არ თვლის იმსჯელოს ამ საკითხზე.

შემდეგ ამხ. ჭკუასელი ლაპარაკობს პარტიული განათლების ქსელში სასწავლო წლის დამთავრებისათვის მზადების და საგიტაციო მუშაობის ნაკლოვანებებზე, პარტიული კომიტეტისა და გზის თბილისის პოლიტგანყოფილების არაოპერატიულობაზე პირველადი პარტიული ორგანიზაციებისადმი დახმარების საქმეში.

რკინიგზის გურჯაანის სალიანდაგო დისტანციის უფროსის მოადგილემ პოლიტდარგში ამხ. შ. კუხალაშვილმა აღნიშნა, რომ დისტანციის პარტიული ორგანიზაცია განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს სამეურნეო საქმიანობისადმი პარტიულ კონტროლს, ეხმარება რკინიგზელებს შრომის დისციპლინის განმტკიცებაში, ყურადღების ცენტრში აყენებს მუშების მატერიალური და კულტურული მომსახურების საქმეს.

რკინიგზის თბილისის განყოფილების უფროსმა ამხ. გ. მეტონიძემ თავის გამოსვლა მხოლოდ საწარმოო საქმიანობის მიმოხილვით განსაზღვრა. მას არც ერთი სიტყვა არ უთქვამს პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის საკითხებზე.

კრებაზე ვრცელი სიტყვა წარმოთქვა ამიერკავკასიის რკინიგზის პოლიტგანყოფილების უფროსმა ამხ. ნ. გაბუნიამ.

სიტყვებით გამოვიდნენ აგრეთვე ამხ. დ. აბუთიძე (საორთქლმავლო დეპოს პარტბიუროს მდივანი), ა. ლიპარტია (რკინიგზის ბორჯომის კვანძის პარტკომის მდივანი), გ. კრეიტანი (გაზეთ „ბოლშევისტსკაია პუტიოვკას“ რედაქტორი) და სხვები, სულ 13 კაცი.

დასასრულ აქტივის კრებამ მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის დასახა სათანადო ღონისძიებანი.

მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის გაძლიერებისათვის

ჭიათურა. (საკ. კორ.). შედგა აგიტატორთა საქალაქო თათბირი, რომელსაც 400-ზე მეტი კაცი ესწრებოდა. საგიტაციო-მასობრივი მუშაობის მდგომარეობისა და ბოლშევიკური აგიტაციის ამოცანების შესახებ მოხსენება გააკეთა საქართველოს კ. პ. (ბ) ჭიათურის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ამხ. პ. პეტრიაშვილმა. მან დაწვრილებით ილაპარაკა იმ გამოცდილებაზე, რაც პარტიულმა ორგანიზაციებმა და აგიტატორებმა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის მზადების პერიოდში შეიძინეს. არჩევნებისათვის მზადების დღეებში საგიტაციო მუშაობა კარგად მოაწყეს ლენინისა და სტალინის სახელობის მაღაროების პარტორგანიზაციებმა. აგიტატორები იქ აწყობდნენ შინაარსიან და მიმზიდველ საუბრებს. აგიტპუნქტები წარმოადგენდნენ საგიტაციო მუშაობის ნამდვილ კერებს. დიდი ყურადღება ექცეოდა თვალსაჩინო აგიტაციას, მოხერხებულად იყენებდნენ საგიტაციო მუშაობის ყველა ფორმას. პარტიული ორგანიზაციები სისტემატურად მსჯელობდნენ საგიტაციო მუშაობის საკითხებზე, სახავდნენ სათანადო ღონისძიებებს. სწორედ ამით აიხსნება, რომ დიდი პოლიტიკური აქტივობითა და ორგანიზებულობით ჩატარდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატების არჩევნები, წარმატებით სრულდება მარგანეცის გამოღებისა და სასაქონლო პროდუქციის დამზადების გეგმა.

— ამ მაღაროებში ახლაც სანიმუშოდ არის დაყენებული საგიტაციო მუშაობა, — ამბობს მომხსენებელი. აქ არჩევნების შემდეგ არათუ შეასუსტეს, არამედ გააძლიერეს ყურადღება აგიტატორებისადმი, შეინარჩუნეს და განამტკიცეს არჩევნების დროს მიღებული გამოცდილება. საგიტაციო მუშაობის ყველა ფორმა გამოყენებულია მაღაროელების დასარაზმავად, მეტი და მაღალხარისხოვანი მარგანეცის დასამზადებლად.

მომხსენებელმა გააკრიტიკა ბერიასა და ორჯონიკიძის სახელობის მაღაროების პარტიული ორგანიზაციები, რომლებმაც არჩევნების შემდეგ შეასუსტეს ზრუნვა საგიტაციო მუშაობისათვის. აქ აგიტპუნქტები აღარ მოქმედებენ, დამატებით შერჩეული აგიტატორები გაათავისუფლეს, ნაკლები ყურადღება ექცევა თვალსაჩინო აგიტაციას.

ასეთივე მდგომარეობაა პურკომბინატის, მარგანეცის ტრესტის ტექნიკური მომარაგებისა და სატრანსპორტო განყოფილებებში.

როგორც მომხსენებელი აღნიშნავს, საგიტაციო მუშაობაში არსებული ნაკლოვანებანი იმითაც არის გამოწვეული, რომ საქალაქო კომიტეტმა ბოლო ხანებში ამ საქმეს ვერ მიაქცია სათანადო ყურადღება. ეს ნაკლი სასწრაფოდ უნდა გამოვასწოროთ.

თავიანთი მუშაობის გამოცდილების შესახებ სიტყვები წარმოთქვეს სტალინის სახელობის მაღაროს აგიტატორმა ბ. ჩხეიძემ და ლენინის სახელობის მაღაროს აგიტატორმა ა. მთვარაძემ.

თათბირი საგიტაციო მუშაობის საკითხებზე

ქარელი. (საკ. კორ.). ჩატარდა აგიტატორების, აგიტკოლექტივების ხელმძღვანელების, პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნებისა და საკოლმეურნეო კედლის გაზეთების რედკოლეგიების ხელმძღვანელთა რაიონული თათბირი. თათბირმა განიხილა გაზაფხულისა და ზაფხულის პერიოდში საგიტაციო-მასობრივი მუშაობის დაყენების საკითხი. მოხსენება გააკეთა საქართველოს კ. პ. (ბ) ქარელის რაიკომის მდივანმა ამხ. ი. რთველიაშვილმა.

მეორე საკითხზე — საკოლმეურნეო კედლის გაზეთების ამოცანები 1950 წელს უხვი მოსავლის მიღებისათვის ბრძოლაში—მოხსენება გააკეთა რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგემ ამხ. ვ. ბუზალაძემ.

პოლიტსკოლამ მუშაობა დაამთავრა

სოფელ გლდანის (თბილისის გარეუბნის რაიონი) ფრუნზეს სახელობის კოლმეურნეობის პირველადს პარტორგანიზაციასთან არსებულმა პოლიტსკოლამ (პროპაგანდისტი რ. ფურცელაძე) წარმატებით დაამთავრა მუშაობა.

18 მაისს ჩატარდა პოლიტსკოლის შემაჯამებელი მეცადინეობა. გამოირკვა, რომ 15 კომუნისტიდან, რომლებიც სკოლაში იყვნენ გაერთიანებული, ყველას კარგად ჰქონდა ათვისებული პროგრამით გათვალისწინებული მასალა. განსაკუთრებით კარგი მომზადება გაიჩვენეს მსმენელებმა ე. ფიქრიშვილმა, ს. გიორგობიანმა, ზ. ხარხელაშვილმა და სხვებმა. (კომ. კორ.).

სანიმუშოდ მოვამზადოთ სკოლები ახალი სასწავლო წლისათვის!

გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციამ საქართველოს კ. პ. (ბ) თელავის რაიკომთან ერთად ამ დღეებში მოაწყო რაიონის პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენელთა თათბირი 1950-1951 სასწავლო წლისათვის სკოლების მომზადების საკითხზე.

თათბირი მოკლე შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს კ. პ. (ბ) თელავის რაიკომის მდივანმა ამხ. გ. სეხნიაშვილმა.

რაიონის სკოლების მდგომარეობისა და ახალი სასწავლო წლისათვის მათი სანიმუშოდ მომზადების შესახებ თათბირზე მოხსენება გააკეთა რაისაბჭოს აღმასკომის სახალხო განათლების განყოფილების გამგემ ამხ. ა. ნადაშვილმა.

თათბირზე სიტყვებით გამოვიდნენ: წინანდლის საბჭოთა მეურნეობის დირექტორის მოადგილე, სოციალისტური შრომის გმირი ი. ბოლქვაძე, რაისაბჭოს აღმასკომის ადგილობრივი მრეწველობის კომბინატის მმართველი ი. ხუციშვილი, არტელ „კახეთის კასრის“ გამგეობის თავმჯდომარე ვ. ბუცხრიკიძე, ნაფარეულის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი ა. თვალიაშვილი, სოფელ რუისპირის ზ. ჩხუბიანიშვილის სახელობის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარე ს. ძამუკაშვილი, რაისაბჭოს აღმასკომის სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგე ა. გოგიძე, სოფლისა და საკოლმეურნეო მშენებლობის განყოფილების გამგე ვ. ჭელიძე და გაზეთ „კომუნისტის“ სარედაქციო კოლეგიის წევრი ა. კოკილაშვილი.

თელავის რაიონის პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენელთა თათბირმა იკისრა კონკრეტული ვალდებულებანი, რომელთა განხორციელება უზრუნველყოფს ახალი სასწავლო წლისათვის რაიონის სკოლების სანიმუშოდ მომზადებას.

ქვემოთ ვბეჭდავთ თელავის რაიონის პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ ნაკისრი სოციალისტური ვალდებულების ტექსტს.

უეჭველია, რომ თელაველთა ამ პატრიოტულ თაოსნობას ფართოდ გამოეხმაურებიან ჩვენი რესპუბლიკის ადგილობრივი ორგანიზაციები და აქედანვე გაჩაღებენ მუშაობას ახალი სასწავლო წლისათვის სკოლების სანიმუშოდ მოსამზადებლად.

★ ★ ★

სკოლისათვის ზრუნვა ყველა მშრომელის ღვიძლი საქმეა!

თელავის რაიონის პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ვალდებულებანი

კომუნისტური პარტია, საბჭოთა მთავრობა, პირადად ამხანაგი სტალინი მუდმივ მზრუნველობას იჩენენ საბჭოთა სკოლის განმტკიცებისა და განვითარებისათვის, მოზარდი თაობის სწავლების ხარისხის ამაღლებისა და სოციალისტური სამშობლოსადმი მხურვალე სიყვარულის სულისკვეთებით მათი აღზრდისათვის.

1949 წელს ჩვენი ქვეყნის კულტურული განვითარების საქმეში გადადგმულ იქნა ახალი ნაბიჯი: სოციალიზმის ქვეყანა ყველგან შეუდგა შვიდწლიანი, ხოლო ჩვენს რესპუბლიკაში რვაწლიანი საყოველთაო სწავლების განხორციელებას. 1950 წლის 14 აგვისტოს სრულდება 20 წელი საყოველთაო სავალდებულო სწავლების შესახებ კანონის მიღებიდან. ყველა პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო ორგანიზაციებისა და მთელი საზოგადოებრიობის მოვალეობაა საყოველთაო სავალდებულო სწავლების კანონის 20 წლისთავს შეხვდნენ ახალი წარმატებებით სახალხო განათლების, სკოლების მატერიალური ბაზის განმტკიცების, მომავალი სასწავლო წლისათვის მათი სანიმუშოდ მომზადების საქმეში. სკოლისათვის ზრუნვა ყველა მშრომელის ღვიძლი საქმეა!

მიმდინარე სასწავლო წელს ჩვენს რაიონში მთლიანად შესრულებულ იქნა რვაწლიან საყოველთაო სწავლებაში ბავშვების ჩაბმის სახელმწიფო დავალება. სერიოზულ ღონისძიებათა განხორციელების შედეგად ახლა რაიონის სკოლებში შექმნილია აუცილებელი პირობები სასწავლო წლის წარმატებით დამთავრებისათვის.

1950-1951 სასწავლო წლისათვის სკოლების სანიმუშოდ მომზადების მიზნით ჩვენი რაიონის პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო ორგანიზაციები და საზოგადოებრიობა კისრულობენ შემდეგ ვალდებულებებს:

1. მთლიანად განვახორციელოთ სახელმწიფო კანონი საყოველთაო სავალდებულო სწავლების შესახებ: საყოველთაო სავალდებულო სწავლების ასაკის არც ერთი ბავშვი არ დარჩეს სწავლაში ჩაუბმელი; მივაღწიოთ, რათა ყველა მოსწავლემ, რომელმაც 8 კლასი დაამთავრა, განაგრძოს სწავლა საშუალო სკოლებში, მუშა-ახალგაზრდობის სკოლებსა და სხვა სპეციალურ სასწავლებლებში;

2. სოფელ სანიორეში ორცვლიანი მეცადინეობის ლიკვიდაციის მიზნით არაუგვიანეს მიმდინარე წლის 14 აგვისტოსი რვაწლიანი სკოლის შენობა გავაფართოოთ 4 საკლასო ოთახით, ხოლო სოფელ ფშავლისა და შუამთის დაწყებით სკოლებს შევმატოთ 10 საკლასო ოთახი;

3. სკოლებისა და საბავშვო დაწესებულებების 48 შენობას გავუკეთოთ მიმდინარე და კაპიტალური რემონტი, მათ შორის ა. წ. 20 ივნისამდე — 40 შენობას მიმდინარე რემონტი, ხოლო 14 აგვისტომდე—8 შენობას კაპიტალური რემონტი;

4. 1 აგვისტომდე რაიონის ყველა სკოლებში შევიტანოთ სათბობის მთელი წლის მარაგი;

5. ყველა სკოლა უზრუნველვყოთ აუცილებელი მოწყობილობით, რისთვისაც 1 ივლისამდე დავამზადოთ და შევიძინოთ 140 მერხი, 40 დაფა, 30 საკლასო მაგიდა, 10 კარადა, 150 ვენური სკამი; ამას გარდა, არსებული სასკოლო ინვენტარიდან 20 ივნისამდე შევაკეთოთ: 1.047 მერხი, 118 დაფა, 104 მაგიდა, 144 სკამი, 17 კარადა და სხვ.;

6. რაიონის სკოლები დროულად უზრუნველვყოთ საჭირო რაოდენობის სახელმძღვანელო წიგნებით, რვეულებით და სასკოლო-სასწავლო ნივთებით; სასკოლო ბიბლიოთეკების ფონდის გაზრდის მიზნით შევიძენთ 27.000 მანეთის ლიტერატურას;

7. სრულ წესრიგზე მოვიყვანთ სასკოლო კაბინეტებს; ყველა საშუალო სკოლაში ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგიის კაბინეტებისათვის გამოვყოფთ საკმაო ფართობის 1-2 ნათელ ოთახს; ფიზიკის კაბინეტებთან მოვაწყობთ სახელოსნოებს; სასკოლო კაბინეტებისათვის შევიძენთ 21.000 მანეთის ხელსაწყო იარაღებს; თელავის ქალთა 1 საშუალო სკოლასთან გავმართავთ კინოდანადგარს სწავლების პროცესში სასწავლო-სამეცნიერო ფილმების საჩვენებლად;

8. მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდის გაძლიერების მიზნით 1 სექტემბრამდე დავამთავრებთ ყველა საშუალო და რვაწლიან სკოლასთან სასპორტო მოედნის მოწყობას და შევიძენთ საჭირო ინვენტარს ფიზკულტურული დარბაზებისათვის;

9. საზაფხულო გამაჯანსაღებელი კამპანიის პერიოდში უფროსი ასაკის მოსწავლეთათვის მოვაწყობთ ერთთვიან ტურისტულ ბანაკს;

ქ. თელავის საბავშვო ბაღები გადაყვანილი იქნება საზაფხულო მუშაობის ფორმებზე;

ზაფხულის პერიოდში ქალაქად დარჩენილი ბავშვებისათვის მოვაწყობთ გამაჯანსაღებელ მოედნებს, რომლებთანაც ჩამოვაყალიბებთ ფეხბურთის, ფრენბურთისა და კალათბურთის გუნდებს;

ბავშვების განკარგულებაში გადავცემთ ქალაქის სტადიონს და კულტურისა და დასვენების პარკს ყოველდღიურად დილის 8-დან ნაშუადღევის 4 საათამდე;

10. ზამთრისათვის სანიმუშოდ მოვამზადებთ რაიონის ყველა საბავშვო ბაღსა და საბავშვო სახლს; უფრო გავაუმჯობესებთ შუამთის საბავშვო სახლის ბავშვთა საყოფაცხოვრებო პირობებს: 7 კილომეტრ მანძილიდან გავიყვანთ ელექტროგანათების ხაზს, მოვაწყობთ აბანოს, გავიყვანთ წყაროს ახალ წყალს და სხვ.;

11. რაიონის სკოლების მასწავლებელთათვის 1 სექტემბრამდე ავაგებთ 2 საცხოვრებელ ბინას, თვითეულს 2 ოთახით; ამას გარდა, ყოველმხრივ გავაუმჯობესებთ მასწავლებელთა კომუნალურ მომსახურებას;

12. ფართოდ გავშლით მუშაობას პედაგოგიური კადრების კვალიფიკაციის ასამაღლებლად, ყველა მასწავლებელს ჩავაბამთ დაუსწრებელ სწავლებაში და გავგზავნით მასწავლებელთა დახელოვნების კურსებზე;

ზაფხულის პერიოდში დაუსწრებელი სწავლების გარეშე დარჩენილი მასწავლებლებისათვის მოვაწყობთ საუბნო-ჯგუფურ მეთოდურ მუშაობას;

საუკეთესო მასწავლებელთა გამოცდილების განზოგადების მიზნით ივნისის ბოლოს მოვაწყობთ სასკოლო და სარაიონო გამოფენებს.

ვკისრულობთ საყოველთაო-სახალხო ყურადღება არ მოვაკლოთ სკოლებს! ყოველ ღონეს ვიხმართ, რათა სანიმუშოდ მოვამზადოთ სკოლები ახალი სასწავლო წლისათვის. დავეხმარებით სკოლებსა და მასწავლებლებს, რათა კიდევ უფრო წარმატებით გადაწყვიტონ მათს წინაშე მდგომი საპატიო ამოცანა: აღზარდონ კომუნიზმის მშენებელთა ყოველმხრივ მომზადებული, ლენინ-სტალინის დიადი პარტიის საქმისათვის უსაზღვროდ ერთგული თაობა.

საქართველოს კ. პ. (ბ) თელავის რაიკომის მდივანი **გ. სეხნიაშვილი**, რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე **ა. უთიაშვილი**, სახალხო განათლების განყოფილების გამგე **ა. ნადაშვილი**, საქართველოს ალკკ თელავის რაიკომის მდივანი **ვ. ხანჯალაშვილი**, მშრომელთა დეპუტატების თელავის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე **ი. ქარაულაშვილი**, თელავის ქალთა I საშუალო სკოლის დირექტორი **ვ. მღვიმიშვილი**, ადგილობრივი მრეწველობის კომბინატის მმართველი **ი. ხუციშვილი**, ვაკეთა I სკოლის დირექტორი **ნ. ზურაბიძე**, რუისპირის ზ. ჩხუბიანიშვილის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე **ს. ძამუკაშვილი**, ლენინის ორდენის წინანდლის საბჭოთა მეურნეობის დირექტორის მოადგილე **ი. ბოლქვაძე**, არტელ „კახეთის კასრის“ გამგეობის თავმჯდომარე **ვ. ბუცხრიკიძე**, ფშავლის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე **მ. ქურციკაშვილი**, დაწყებითი და საშუალო სკოლების პროფკავშირის რაიკომის თავმჯდომარე **თ. ლაზარიაშვილი**, ნაფარეულის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი **ა. თვალიაშვილი**, ფიზკულტურისა და სპორტის თელავის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარე **გ. სტეფანოვი**, საქართველოს სსრ დამსახურებული მასწავლებელი **ნ. ყაზახაშვილი**, არტელ „თელავმშენის“ გამგეობის თავმჯდომარე **ქ. აბაშიძე**, სოფლისა და საკოლმეურნეო მშენებლობის განყოფილების გამგე **ვ. ჭელიძე**.

ჩვენ გვწერენ

საშენ მასალათა ეკონომიის მძლავრი რეზერვი

საბინაო და სამრეწველო მშენებლობაში საშენი მასალების ეკონომიას, ეგრეთწოდებული ლიმიტირებული საშენი მასალების სრულფასოვანი ადგილობრივი მასალებით შეცვლას დიდი მნიშვნელობა აქვს. ამ დარგში ხანგრძლივი მუშაობის შედეგად დავრწმუნდი, რომ მშენებლობაში ფასონური კერამიკული ბლოკების გამოყენება წარმოადგენს მასალათა ეკონომიის მძლავრ საშუალებას და ამავე დროს შესამჩნევად აიაფებს მას.

ფასონური კერამიკული ბლოკი ღრუ საშენ მასალას წარმოადგენს. მასალის ხარჯი წყობაში შესაძლოა შემცირებულ იქნას 35-45 პროცენტით, ვიდრე ჩვეულებრივი მასალით სარგებლობის დროს. ბლოკები შესაძლებელია დამზადებულ იქნას სხვადასხვა ზომისა, იმის მიხედვით, თუ შენობის რომელი ელემენტისთვის ვითვალისწინებთ მათ — კოჭისათვის, კედლისათვის, იატაკისათვის თუ სხვა ნაწილისათვის. ბლოკების მოხდენილი კონსტრუქცია აღარ საჭიროებს წყობაში ცემენტის ხსნარს, რის გამოც ცემენტისა და მისი მასალის ხარჯი ძალიან შემცირებულია (ხის მასალა შესაძლოა ხმარებულ იქნას მხოლოდ კარ-ფანჯრის ჩარჩოებისათვის).

ასეთი ბლოკების წყობათა შორის უნდა დაუტანონ თხელი შრე—ეგრეთწოდებული მინის მატყლისა („მინაფლექსის“), რომელსაც შესანიშნავი ფიზიკურ-მექანიკური თვისებები აქვს. ამ საშენი მასალით სარგებლობისას მშენებლებს ჩქარი ტემპით მუშაობის დიდი შესაძლებლობა ეძლევათ, რადგან მათ არსებითად ბლოკების მონტაჟი მოუხდებათ, რაც ნაკლები მუშახელით შესრულდება. მშენებლობის პროცესების იოლი მექანიზაცია უფრო ამცირებს დროს და შესაძლებელს ხდის 2-3 თვის განმავლობაში დამთავრდეს ისეთი მრავალსართულიანი შენობა, რომლის აგებასაც ჩვეულებრივად 8-10 თვე უნდება.

ფასონური კერამიკული ბლოკებით ნაგებობებს მინის ელასტიკური შრის თანჩართვით აქვს მთელი რიგი უპირატესობანი: წყობა მჩატე და წნევისუნარიანია. შენობა არ ატარებს სითბოს და ხმაურს, ამის გამო სათბობი მასალის ხარჯი შენობაში შესაძლოა შემცირდეს 70 პროცენტით; ნაგებობა ცეცხლგამძლეა, ხანძრის წარმოშობის ან გავრცელების საშიშროება მცირეა, კედლებსა და სახურავზე არ მოქმედებენ ატმოსფეროს რეაგენტები, რადგან შენობა არ ატარებს სინესტეს, რის შედეგად შესაძლოა გადაწყდეს სარდაფების სასურველი დანიშნულებისათვის გამოყენების პრობლემა.

კერამიკული ბლოკების გამოყენებისას საჭირო აღარ არის კედლების შელესვა, ხოლო ამ ბლოკების ფიგურათა ნაირსახეობანი არქიტექტურული შემოქმედების ფართო ასპარეზს ქმნიან.

ფასონური კერამიკული ბლოკების დასამზადებლად საჭირო ნედლეული ჩვენი რესპუბლიკის ყველა რაიონში მოიპოვება, ხოლო წარმოების მოწყობა სიძნელეს არ წარმოადგენს. ჩატარებულმა ცდებმა ცხადყო, რომ უკეთესია ბლოკების დასამზადებლად მდინარის შლამის გამოყენება. ეს კიდევ უფრო აიაფებს ბლოკებს და აადვილებს მათი დამზადების ტექნოლოგიას.

მინის მატყლის დამზადების ათვისება სავსებით შეუძლიათ ჩვენს ქარხნებს. ამისათვის კარგ ნედლ მასალას წარმოადგენს ხარაგოულისა და დარკვეთის ქვიშა.

ვ. ჩაჩანიძე
საქართველოს ქვანახშირის კომბინატის ინჟინერი

საკოლმეურნეო დოვლათის გამნიავებლები სასტიკად უნდა დაისაჯონ.

ვანის რაიონის სოფელ მიქელეფონის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის გამგეობა ვერ ახორციელებს საჭირო ღონისძიებებს სასოფლო-სამეურნეო არტელის სამეურნეო და ორგანიზაციული განმტკიცებისათვის. აქ ყოველწლიურად სიმინდისა და სხვა კულტურების მცირე მოსავალი მოჰყავთ. უმნიშვნელოა კოლმეურნეობის ფულადი შემოსავალიც. ანგარიშწარმოების მუშაკების არადამაკმაყოფილებელი მუშაობის შედეგად მოუწესრიგებელია ანგარიშსწორება.

კოლმეურნეობაში ვხვდებით საკოლმეურნეო დოვლათის განიავების აღმაშფოთებელ ფაქტებს, ხოლო კოლმეურნეობის სარევიზიო კომისია და მისი თავმჯდომარე გ. ოჩხიკიძე, რომელიც ახლა პარტორგანიზაციის მდივნად მუშაობს, შემჩნეულ ნაკლოვანებათა და საკოლმეურნეო ქონების განიავების კვალის დაფარვისათვის უფრო მეტად ეხმარებოდა კოლმეურნეობის თავმჯდომარეს პ. ჯოგლიძეს, ვიდრე იმისათვის, რომ გადამჭრელი ზომები მიეღო ბოროტმოქმედებათა აღმოსაფხვრელად. მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს.

გასულ წელს კოლმეურნეობის თავმჯდომარემ პ. ჯოგლიძემ და ბუღალტერმა ა. ბელთაძემ კოლმეურნეთა საერთო კრების დაუკითხავად კერძო პირისაგან შეიძინეს ცხენი, რომელშიც 9.000 მანეთი მისცეს. მოუვლელობის გამო ცხენი მოკვდა. კოლმეურნეობას აქვს ორი წისქვილი. შემოსული მინდი თავის დროზე არ ბარდება „ზაგოტზერნოს". არის შემთხვევები, რომ მინდი კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარის განკარგულებით უკანონოდ იხარჯება. მაგალითად, 1949 წელს თავმჯდომარის განკარგულებით კოლმეურნეობის საწყობის გამგემ კ. შარაშიძემ წისქვილიდან 200 კილოგრამი მინდის სიმინდი გაატანა ამავე კოლმეურნეობის წევრ ი. ჯოგლიძეს სასოფლო ელექტროსადგურში მომუშავე ტექნიკოსებისათვის. კოლმეურნეობაში მოუწესრიგებელია მინდის აღრიცხვა.

შარშან კოლმეურნეობის თავმჯდომარემ პ. ჯოგლიძემ და სარევიზიო კომისიის თავმჯდომარემ გ. ოჩხიკიძემ სამტრედიაში კოლმეურნეობის საჭიროებისათვის 5 კუბმეტრი ფიჭვის ბოძები შეიძინეს და შეადგინეს აქტი, თითქოს „გაურკვეველ" პიროვნებას თითოეულ კუბმეტრ ფიჭვის ბოძებში 600 მანეთი მისცეს, ხოლო შესყიდვასთან დაკავშირებით კიდევ სხვა ხარჯებისათვის 1.000 მანეთი გაინაღდეს. ამ გზით კოლმეურნეობის ბუღალტერმა ა. ბელთაძემ მათ 4 ათასი მანეთი გაუნაღდა, მაშინ როცა „გლავლესსნაბის" სამტრედიის ბაზაში შარშან მსგავსი ფიჭვის ბოძები კუბმეტრი 220 მანეთად იყიდებოდა. ამ ვაჟბატონებმა მეორედ 4 კუბმეტრ ბოძებში 3.000 მანეთი „მისცეს".

პ. ჯოგლიძემ კოლმეურნეობის სალაროდან 7.600 მანეთი მიიღო შუამთის სოფლის კოოპერატივში სოიის დასაქონლების ხორბლის ღირებულების ანგარიშში შესატანად, ნამდვილად კი შეიტანა 7 ათასი მანეთი, ხოლო 600 მანეთი მიითვისა. კოლმეურნეობის ბუღალტერიაში სოფლის კოოპერატივის ბუღალტერიისაგან ფულის შეტანის დამადასტურებელი ქვითრის ნაცვლად ასეთი შინაარსის ხელწერილია წარდგენილი: „შეტანილია შუამთის სოფლის კოოპერატივში პართენ ჯოგლიძის ხელით ხორბლისა და სიმინდის ღირებულება 7.600 მანეთი, რომლის ქვითარი დაკარგულია. ხელს ვაწერ კოლმეურნეობის თავმჯდომარე პ. ჯოგლიძე".

ბუღალტერმა კოლმეურნეობის თავმჯდომარეს 7 კილოგრამი თოკის შეძენისათვის 350 მანეთი გაუნაღდა, მაშინ როცა კილოგრამი თოკი სოფლის კოოპერატივში 15-20 მანეთი ღირდა.

კოლმეურნეობაში თვალის ახვევის ფაქტებიც არის. სოფლის მეურნეობის რაიონულ განყოფილებას აცნობეს, თითქოს კოლმეურნეობამ გადაჭარბებით შეასრულა პირუტყვის სულადობის ზრდის 1949 წლის გეგმა. ნამდვილად კი გეგმის შესრულებას დააკლდა 10 სული პირუტყვი. დანაშაულის დასაფარავად აქ ასეთ ხერხს მიმართეს: კოლმეურნეობის თავმჯდომარემ 1949 წლის 25 დეკემბრის თარიღით სოხუმის რაიონის სოფელ ახალშენის მცხოვრებ შ. ადეიშვილის სახელზე გააფორმა ხელშეკრულება, თითქოს ადეიშვილისაგან შეიძინა 10 სული თხა. ნამდვილად თხები არ ყოფილა შეძენილი. კოლმეურნეობის თავმჯდომარემ მსგავსი ხელშეკრულება დაუდო გ. კერელეიშვილს 71 ფრთა ფრინველის შეძენაზე, მაგრამ კოლმეურნეობას ქათმები დღემდე არ მიუღია.

კოლმეურნეობის თავმჯდომარის განკარგულებით სასოფლო ელექტროსადგურში მომუშავე ტექნიკოსების საკვებად გაცემულია 1947 წელს 225 კილოგრამი სიმინდი, 1948 წელს 16 კილოგრამი, ხოლო 1949 წელს 200 კილოგრამი სიმინდი, 13 კილოგრამი ლობიო, 17 კილოგრამი ყველი, 376 ლიტრი ღვინო და სხვ. ამ პროდუქტების ღირებულება კოლმეურნეობას არ მიუღია.

სარევიზიო კომისიის თავმჯდომარემ გ. ოჩხიკიძემ კოლმეურნეობის წევრთა საანგარიშო კრებას დაუმალა საწყობის გამგის კ. შარაშიძის მიერ სიმინდის, ხორბლის, შაბიამნის, ლობიოსა და სხვა პროდუქტების მითვისების ფაქტი. საქმის „მოწესრიგების" შემდეგ შეადგინეს ყალბი აქტი, რომელიც 1950 წლის 10 იანვრის თარიღით გააფორმეს. სარევიზიო კომისიამ საწყობის გამგეს დიდძალი მარცვლეული ჩამოაწერა და ამით მას ხელი შეუწყო დანაკლისის კვალის დაფარვაში. მიუხედავად ასეთი მაქინაციისა, საწყობის გამგეს ამჟამად დანაკლისად მაინც აწერია 24 კილოგრამი ლობიო, 78 კილოგრამი შაბიამანი, 122 კილოგრამი ხორბალი და სხვა პროდუქტები, რაც კოლმეურნეობისათვის დღემდე არ დაუბრუნებია. გარდა ამისა საწყობის გამგეს სარევიზიო კომისიამ სხვა პროდუქტებიც ჩამოაწერა. აქტში წერია: „ჩამოეწერა საწყობს 13 კილოგრამი ყველი საკოლმეურნეო საჭიროებისათვის, ჩამოეწერა ფერმას საკოლმეურნეო საჭიროებისათვის 2 გოჭი (!)" და სხვ. ეს მაშინ, როცა კოლმეურნეთა ნაწილს ჯერ კიდევ მიუღებელი აქვს 1948 წლის შრომადღეებზე კუთვნილი პროდუქტები.

აღსანიშნავია ისიც, რომ კოლმეურნეობის ხელმძღვანელობა ყოველწლიურად ხელოვნურად ადიდებს სათესლე და საფურაჟე ფონდებს, ამ გზით დარჩენილ მარცვლეულს თავისი შეხედულებით ჰყიდის და ხარჯავს. მარტო 1949 წელს სათესლედ და საფურაჟედ გათვალისწინებული სიმინდის ნახევარზე მეტი არადანიშნულებისამებრ დახარჯეს. კოლმეურნეობაში დიდია დებიტორული დავალიანება. თვით კოლმეურნეობის თავმჯდომარეზე 6.000 მანეთი ირიცხება.

კოლმეურნეობის პარტიული ორგანიზაცია და კერძოდ, მისი მდივანი გ. ოჩხიკიძე არავითარ ზომას არ იღებენ კოლმეურნეობის მუშაობაში წესრიგის დასამყარებლად. არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა. პარტიული კრებები მოუმზადებლად ტარდება. 26 აპრილს მოწვეული პარტიული კრება პარტორგანიზაციის მდივნის მიზეზით ჩაიშალა. პარტიული ორგანიზაცია ვერ ახორციელებს კონტროლს კოლმეურნეობის გამგეობის საქმიანობაზე, ხოლო ცალკეული კომუნისტების სიგნალებს კოლმეურნეობაში არსებულ ნაკლოვანებათა შესახებ პარტიული ორგანიზაციის მდივანი უყურადღებოდ ტოვებს.

საქართველოს კ. პ. (ბ) ვანის რაიკომი მოვალეა საჭირო ღონისძიებები გაატაროს საკოლმეურნეო წესდების დარღვევათა აღსაკვეთად და კოლმეურნეობაში წესრიგის დასამყარებლად.

საკოლმეურნეო ქონების გამნიავებლები სასტიკად უნდა დაისაჯონ.

ვ. კოპალეიშვილი
„კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტი

ოქუმელ მეჩაიეთა ახალი წარმატება

გალი. (საკ. კორ.). ოქუმის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მეჩაიეები იბრძვიან 105 ჰექტარი ფართობის ყოველ ჰექტარზე 5.100 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთლის მოყვანისათვის. ოქუმელმა მეჩაიეებმა მაისის გეგმა ვადამდე შეასრულეს და გეგმის გადამეტებით უკვე მოკრიფეს 54 ტონა ჩაის ფოთოლი. მეჩაიეებმა იკისრეს თვის ბოლომდე მოკრიფონ გეგმის გადამეტებით 80 ტონა ჩაის ფოთოლი.

ცალკეული მეჩაიეები სარეკორდო მაჩვენებლებს აღწევენ. სოციალისტური შრომის გმირმა ლუბა ბულისკერიამ სტახანოვურ ჰექტარზე უკვე მოკრიფა 1.500 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაი. დღეში იგი კრეფს 70-80 კილოგრამ ჩაის ფოთოლს. მეჩაიე ა. შამათავამ ერთ დღეს მოკრიფა 144 კილოგრამი ჩაის ფოთოლი. ასეთივე წარმატებას აღწევენ სოციალისტური შრომის გმირები ზიტი და კალისტრატე ბულისკერიები.

ჩაის საბჭოთა მეურნეობების ვალდებულებანი

ჩაის საბჭოთა მეურნეობების მუშაკები აჭარის ასს რესპუბლიკის კოლმეურნეების, საბჭოთა მეურნეობების მუშებისა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტების მოწოდების საპასუხოდ ჩაებნენ სოციალისტურ შეჯიბრებაში მიმდინარე წელს ჩაის უხვი მოსავლის მოსაყვანად და ახალ წარმატებებს აღწევენ.

ნარაზენის საბჭოთა მეურნეობამ ჩაის ფოთლის კრეფის მაისის გეგმა 103,7 პროცენტით შეასრულა. მოკრეფილია 83.471 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 80.000 კილოგრამისა. მოკრეფილი ფოთოლი მთლიანად პირველი ხარისხისაა.

მეურნეობის კოლექტივმა ვალდებულება იკისრა მაისში გეგმის გადამეტებით მოკრიფოს 100 ტონა ხარისხოვანი ფოთოლი. მეჩაიეები ენერგიულად იბრძვიან ამ ვალდებულების შესასრულებლად.

წულუკიძის საბჭოთა მეურნეობამ ჩაის კრეფის მაისის გეგმა 104 პროცენტით შეასრულა. მოკრეფილია 94 ტონა. მეურნეობის კოლექტივმა ვალდებულება იკისრა მაისში გეგმის გადამეტებით მოკრიფოს 70 ტონა ჩაი.

საბჭო იბრძვის ქალაქის კეთილმოწყობისათვის

ლამაზდება და მშვენიერდება კურორტი ბორჯომი. ქალაქის კეთილმოწყობისათვის წელს მნიშვნელოვან ღონისძიებებს ატარებს საქალაქო საბჭო. უკვე დამთავრდა კიროვის ქუჩის რეკონსტრუქცია, რისთვისაც შესრულდა 2.500 კუბმეტრი მიწის, 50 კუბმეტრი ბეტონის და 400 კუბმეტრი საყრდენი კედლის სამუშაოები. ამას გარდა, ამავე ქუჩაზე გაკეთდა ახალი ტროტუარები და დაირგო კანადური ვერხვის ხუთწლიანი ნარგავები.

საკოლმეურნეო ბაზრის წინ აღებულ იქნა ოთხბინიანი შენობა, რომელიც მდებარეობდა მთავარი ქუჩიდან 1,5 მეტრზე, აფერხებდა მოძრაობას და აუშნოებდა ქუჩის საერთო ხედს. განზრახულია აღნიშნულ ადგილას სკვერის მოწყობა. მდინარე მტკვრის მარცხენა ნაპირის გასამაგრებლად 87 გრძივ მეტრზე გაკეთდა საყრდენი კედელი, რომელიც გაგრძელდება ქალაქის ხიდამდე, რის შედეგადაც ამ უბანზე ქუჩა გაგანიერდება 6 მეტრით.

მიმდინარეობს მუშაობა ჩელუსკინელთა ქუჩის გაფართოებისათვის. აქ შესრულებული იქნება 800 კუბმეტრი მიწის სამუშაოები, ხოლო საყრდენი კედლის ასაგებად ჩაიწყობა 500 კუბმეტრი ქვა. ამავე ქუჩაზე აგებულ იქნა კიბე, რომელიც მოკლე გზით აკავშირებს რკინიგზის სადგურს 26 კომუნარის ქუჩასთან.

ახალშენის უბანში შენდება დიდი ღვარსაშვები, რომელიც დაიცავს ამ უბნის მოსახლეობას ნიაღვრის საშიშროებისაგან.

ამ ძირითად სამუშაოს გარდა საქალაქო საბჭო სერიოზულ ყურადღებას აქცევს საბინაო ფონდის აღდგენასა და ეზოების გამწვანებას. ამ გაზაფხულზე კიროვის, მახარაძის, ბერიას, ლუქსემბურგის, ორჯონიკიძისა და ჩელუსკინელთა ქუჩებზე დაირგო 2.500 ძირი სხვადასხვა ჯიშის დეკორაციული მცენარე. მიღწეულია ყველა ძირითადი ქუჩის ნარგავთა დაცვა.

დამზადებულია და მოკლე ხანში კიროვის ქუჩაზე დაიდგმება ელექტროგანათების არქიტექტურულად გაფორმებული ლითონის ბოძები.

ვ. გურგენიძე
„კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტი

ახალი მიწების ათვისება

სტალინირი. (საკ. კორ.). მოწინავე კოლმეურნეობები შეუდგნენ მუშაობას ახალი მიწების ათვისებისათვის. ამ დიდმნიშვნელოვანი ღონისძიების განხორციელებას პირველი შეუდგა სტალინირის რაიონის სოფელ ხეთაგუროვის კოლმეურნეობა. ხეთაგუროველებს გადაწყვეტილი აქვთ მიმდინარე წელს აითვისონ დღემდე გამოუყენებელი 47 ჰექტარი მიწა. კოლმეურნეებს ნაყოფიერ დახმარებას უწევენ სტალინირის მტს-ის მექანიზატორები.

28 ჰექტარი მიწის ათვისებისათვის იბრძვიან ხოდისა და გალავანთიყაუს კოლმეურნეობები.

ზნაურის რაიონის სოფელ თორმანეულის კოლმეურნეობა ითვისებს 20 ჰექტარ ახალ მიწას, ბეყმარის კოლმეურნეობა — 6 ჰექტარს, ნედლადისა და ღარისთავის კოლმეურნეობები—20 ჰექტარს.

სოციალისტური შრომის გმირის ვალდებულება

ჩოხატაური. (საკ. კორ.). განახლების ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მოწინავე კოლმეურნე ალექსანდრა ერქომაიშვილი დიდ წარმატებას აღწევს ჩაის მოსავლიანობის გადიდების საქმეში. მან მოსავლელად მიჩენილ 0,5 ჰექტარ ჩაის პლანტაციაში შეიტანა 250 კილოგრამი კალიუმის, 400 კილოგრამი აზოტოვანი და 500 კილოგრამი ფოსფოროვანი სასუქები, დროულად დაბარა, გასხლა და გათოხნა პლანტაცია და იკისრა წელს მოკრიფოს 7.000 კილოგრამი ჩაის ხარისხოვანი ფოთოლი.

ნაკისრი ვალდებულების განაღდებას ამხ. ერქომაიშვილი უკვე შეუდგა, მას მოკრეფილი აქვს 800 კილოგრამამდე ჩაის პირველი ხარისხის ფოთოლი.

5 მილიონი ძირი ევკალიპტი, ფიჭვი, ნაძვი, კაკალი

ცხაკაია. (სპეც. კორ.). დიდი მუშაობაა გაჩაღებული საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტროს ევკალიპტის სახელმწიფო სანერგეში. ახალსოფელში 81 ჰექტარზე, სადაც სანერგეა მოწყობილი, ორანჟერეის სათბურებში მარტო ევკალიპტი გამოჰყავთ 750 ათასამდე ძირი. სულ სანერგემ წელს გეგმით 5 მილიონი ძირი სხვადასხვა ნერგი უნდა გამოიყვანოს, მათ შორის 800 ათასი ძირი ფიჭვი, 180 ათასი ძირი წაბლი, 120 ათასი ძირი კაკალი, ნახევარი მილიონი ძირი დაფნა და აკაცია. ამ მიზნით ადგილზე უკვე მოტანილია და 14 ჰექტარზე ითესება 13 ტონა სხვადასხვა თესლი. ამასთან დაკალმებულია 420 ათასი ძირი ალვის ხე და ჭადარი, 2,5 ჰექტარზე მოწყობილ სკოლაში დარგულია 85 ათასი ძირი კრიპტომერია.

შარშან სანერგეში ააგეს 5 ორანჟერეა, 250 სათბური, საცხოვრებელი სახლი, საწყობები, ფარდული და სხვ., გაყვანილია გზები.

სიცოცხლის სათავეებთან

საბჭოთა მეცნიერების, მათ შორის მოსკოველი ბიოქიმიკოსის გ. მ. ბოშიანის შრომებით გაბათილებულია ფრანგი მიკრობიოლოგის ლუი პასტერის შეხედულებანი მიკრობების წარმოშობაზე, მათი არსებობისა და დაღუპვის პირობებზე. პასტერის ეს შეხედულებანი ასი წლის განმავლობაში შეურყევლად მიაჩნდათ. გ. მ. ბოშიანის აღმოჩენამ უარყო აგრეთვე ისეთი წარმოდგენა მიკრობებსა და ვირუსებზე, თითქოს ისინი ერთმანეთთან სრულიად დაუკავშირებელი ორგანიზმები არიან, ახლებურად დააყენა საკითხი სიცოცხლის წარმოშობის შესახებ.

პასტერის შეცდომა

ეს მოხდა ოთხმოცდაათი წლის წინათ. პარიზის მეცნიერებათა აკადემიამ გამოაცხადა, რომ პრემიას მიანიჭებდა იმას, ვინც ზუსტი და დამამტკიცებელი ცდებით გასცემდა პასუხს კითხვაზე: შესაძლებელია თუ არა მიკროორგანიზმების თვითწარმოქმნა არაცოცხალი ნივთიერებისაგან?

ამ კონკურსს წინ უძღოდა მეცნიერთა მრავალი დავა. მას შემდეგ, რაც XVII საუკუნის დამლევს აღმოჩენილ იქნა უხილავ არსებათა—მიკრობთა მთელი სამყარო, არ შეწყვეტილა დისკუსია: საიდან ჩნდებიან ისინი? ეს პრობლემა აღელვებდა არა მარტო მეცნიერებს. დისკუსიას გამალებით ადევნებდნენ ეკლესიის მსახურნი და ბნელეთისმოციქულნი მეცნიერებაში. მათ ძალიან სურდათ დაემტკიცებინათ, რომ თვითჩასახვა შეუძლებელია. ამის დამტკიცება ხომ იმის მომასწავებელი იქნებოდა, რომ სიცოცხლე შექმნილია ღვთიური აქტით.

1858 წელს გამოვიდა ფრანგი მეცნიერის პუშეს წიგნი. მრავალი ცდის საფუძველზე ავტორი ამტკიცებდა, რომ მიკრობებს თვითჩასახვის უნარი აქვთ. ასეც ხდებოდა პუშეს ცდაში — კოლბაში, სადაც წყალში თივა ლპებოდა. თივის დაშლის ცილოვანი პროდუქტებიდან წარმოიშვებოდნენ უმარტივესი არსებანი, ცოცხალი მატერიის კოშტები. პუშეს დასკვნებს სხვა მეცნიერებიც შეუერთდნენ. რეაქციონერები აფორიაქდნენ.

პუშეს მოწინააღმდეგეთა შორის იყო პასტერიც. იგი თითქოს ობიექტური მკვლევარის როლში გამოდიოდა. მაგრამ იმის მტკიცებით, რომ ბუნებას არ ძალუძს კანონზომიერად წარმოქმნას ცოცხალი ნივთიერება, პასტერი არსებითად კარს უღებდა ხუცების ყოველნაირ ჭორებს სიცოცხლის ღვთიური წარმოშობის შესახებ.

მას შემდეგ, ამტკიცებდა პასტერი, რაც ჩემი კოლბები, რომლებშიც მოთავსებულია სტერილური, უსიცოცხლო გარემო (ხორცის ბულიონი, ლაყე კვერცხის გული და სხვ.), გამოიხარშება, იქ ერთი გრანი სიცოცხლეც არ დარჩება, უფრო მეტიც, იქ სიცოცხლე არასოდეს აღარ ჩაისახება.

— დიახ, ასეა,—ბანს აძლევდნენ მეცნიერს კათოლიკური გაზეთები,—ვინაიდან უფალმა მხოლოდ ერთხელ შექმნა დედამიწის ყველა არსებაო...

ევროპის მეცნიერნი მღელვარებით ადევნებდნენ თვალყურს პასტერისა და მის მოწინააღმდეგეთა დავას. იმ საუკუნის საუკეთესო, მოწინავე ადამიანები მატერიალისტ პუშეს მხარეზე დგებოდნენ. პასტერის ცდების უსაფუძვლობა აშკარა იყო ფრიდრიხ ენგელსისთვისაც. იგი წერდა: „პასტერის ცდები ამ მხრივ უსარგებლოა: იმათ, ვისაც ამის შესაძლებლობა სწამს, იგი მარტო ამ ცდებით ვერასოდეს ვერ დაამტკიცებს, რომ ეს შეუძლებელია".

რუსეთში პუშეს იდეას სიცოცხლის ჩასახვის შესაძლებლობის შესახებ მხარი დაუჭირა მატერიალიზმის გაბედულმა დამცველმა დ. ი. პისარევმა. მისი პირით თავისი აზრი გამოთქვა რუსეთის მოწინავე მეცნიერებამ. პისარევმა გამოიცნო, თუ რა აზრი ჰქონდა პარიზის აკადემიის მიერ მეცნიერების წინააღმდეგ განზრახულ ლაშქრობას. მწვავე სტატიაში „ევროპელ ავტორიტეტთა საგმირო საქმეები" პისარევმა პუშესა და პასტერს შორის გამართულ დავას უწოდა „დავა მეცნიერებასა და აკადემიურ გენერლებს შორის". იგი წერდა: „ამრიგად, ბუნების შესწავლა რანგების ტაბელზე პირდაპირ დამოკიდებული გახდეს".

და მაინც პასტერმა გაიმარჯვა. მან მიიღო პარიზის აკადემიის პრემია, მიღებულ იქნა აკადემიის წევრად. ჰეტეროგენია — მოძღვრება მკვდრიდან ცოცხლის წარმოქმნის შესახებ — ურწმუნოთა მონაგონად გამოაცხადეს. მაგრამ მატერიალისტებს იარაღი არ დაუყრიათ. ისინი დარწმუნებული იყვნენ პასტერის შეცდომაში.

გავიდა ასი წელიწადი. რუსეთის მოწინავე მეცნიერება, ავითარებდა რა სამოციანი წლების მატერიალისტთა იდეებს, თანდათანობით ამზადებდა პასტერის შეცდომის გამოაშკარავებას. ის, რაც ჩვენი ქვეყნის მეცნიერებმა წარსულში დაიწყეს, საბჭოთა ბიოლოგებმა—მიჩურინელმა ბიოლოგებმა დაამთავრეს. პასტერის ავტორიტეტმა, განაცხადეს მათ, ასი წლით შეაფერხა მიკრობიოლოგიის განვითარება. ჩვენი ამოცანაა მატერიალიზმის გზაზე დავაბრუნოთ მიკრობიოლოგია.

ახალი აღმოჩენანი

ცილა განსაცვიფრებელი ნივთიერებაა, სიცოცხლის შეცნობის გასაღებია. ცილის პრობლემით დაინტერესდა ახალგაზრდა საბჭოთა მეცნიერი გ. მ. ბოშიანი. მას არაერთხელ გადაუკითხავს ენგელსი: „ყველგან, სადაც კი სიცოცხლეა, ჩვენ ვხედავთ, რომ იგი დაკავშირებულია ცილოვან სხეულთან, და ყველგან, სადაც კი ცილოვანი სხეულია, რომელიც გახრწნის პროცესში არ იმყოფება, სიცოცხლის მოვლენებს ვხვდებით".

და აი ექსპერიმენტული ვეტერინარიის საკავშირო ინსტიტუტის ასპირანტი გ. მ. ბოშიანი მცენარეთა და ცხოველთა ქსოვილებში იკვლევს განსაკუთრებულ ცილას — ნუკლეოპროტეიდს. ასპირანტი ახერხებს ნუკლეოპროტეიდის გამოყოფას ცოცხალი მცენარის უჯრედებიდან. მაშასადამე, ეს ცილა სიცოცხლის თანამგზავრია. ბოშიანი ადარებს მიღებულ ცილას ასეთსავე ნუკლეოპროტეიდებს, რომლებისგანაც შედგებიან ვირუსები. ეჭვს გარეშეა, ვირუსებიც ცილისაგან—„სიცოცხლის ნივთიერებისაგან" შედგებიან.

ვირუსები 1892 წელს აღმოაჩინა რუსმა მეცნიერმა დ. ი. ივანოვსკიმ. მან ისინი აღმოაჩინა თამბაქოს ფოთლებში, რომლებიც დაავადებული იყვნენ განსაკუთრებული სენით—თამბაქოს მოზაიკით. მას შემდეგ აღმოჩენილ იქნენ სხვა ვირუსები. ბევრი მათგანი ხშირად იწვევს ადამიანისა და ცხოველთა მძიმე დაავადებას: ცოფს, შემოდგომის ენცეფალიტს, პარტახტიან ტიფს და სხვა. უცხოეთის, ძირითადად ამერიკელმა მეცნიერებმა მცენარეული ვირუსები მკვდარ ნივთიერებად აღიარეს.

მაგრამ ბოშიანი დარწმუნებული იყო, რომ ვირუსი, რომელიც ცოცხალი ცილის—ნუკლეოპროტეიდის კოშტისაგან შედგება, ცოცხალი არსებაა. დ. ი. ივანოვსკის წიგნში მეცნიერმა თავისი რწმენის დადასტურება ჰპოვა. ივანოვსკიმ ვირუსების განვითარება ნახა ხელოვნურ გარემოში. მაშასადამე, გარკვეულ პირობებში ვირუსებს შეუძლიათ დამოუკიდებლად საზრდოობდნენ, ესე იგი ისინი მიკრობების მსგავსი ცოცხალი არსებანი არიან. განა ეს მკაფიოდ არ ადასტურებს იმას, რომ რუსი მკვლევარის ხელში სწორედ არსება იყო და არა ნივთიერება, როგორც დასავლეთის მეცნიერნი ამტკიცებდნენ? ახალი და ახალი ექსპერიმენტები უფრო და უფრო არწმუნებდნენ ბოშიანს ივანოვსკის სიმართლეში: ვირუსი უეჭველად ცოცხალი არსებაა, თუმცა უაღრესად მარტივად ორგანიზებული.

უხილავთა საოცარი გარდაქმნანი

1939 წელს ბოშიანი შეუდგა ვირუსების შესწავლას. მან გამოიკვლია ინფექციური ანემია —ცხენის მძიმე და ნაკლებად შესწავლილი, ვირუსებით გამოწვეული ავადმყოფობა. ეს დაავადება გადამდებად და განუკურნებლად ითვლებოდა. უცხოელ მკვლევართა მიბაძვით უკვე ორმოცი წელიწადია ყოველწლიურად ათასობით სპობდნენ ანემიით დაავადებულ ცხენებს და იზოლირებული ჰყავდათ ავადმყოფობაგადატანილნი. მეცხოველეობის პრაქტიკა დაბეჯითებით მოითხოვდა ამ ავადმყოფობასთან ბრძოლის სხვა გზებს.

იმ ცხოველის სისხლში, რომლის ავადმყოფობაც გამოწვეულია ვირუსებით, ავადმყოფობის

გ. მ. ბოშიანი თავის ლაბორატორიაში.

★ ★

გამომწვევთა დანახვა არ შეიძლება. ჩვეულებრივ მიკროსკოპში ვირუსი უხილავია. მაგრამ აი ერთხელ ბოშიანმა მიკროსკოპით გასინჯა ანემიისაგან დაღუპული ცხენის სისხლი და... რაღაც მიკრობები აღმოაჩინა. უფრო მეტიც: როცა დაღუპულ ცხოველთა სისხლი ჯანსაღ ცხენებს შეუშხაპუნეს, ამან მათი დაავადება არ გამოიწვია. მაშასადამე, სისხლში ვირუსი აღარ იყო!

ახალმა ცდებმა დაადასტურა პირველი ექსპერიმენტის მონაცემები. დაღუპულ ცხოველთა სისხლში ვირუსებს ცვლიდნენ საიდანღაც გაჩენილი რაღაც მიკრობები. ეს სასწაულს უფრო ჰგავდა, ვიდრე ზუსტ ექსპერიმენტს. მეცნიერებაში არსებულ წარმოდგენათა გამოყენებით ერთნაირი ორგანიზმების მეორენაირ ორგანიზმებად ასეთი გადასვლის ახსნა შეუძლებელი იყო.

უცხოელი ავტორები ამტკიცებდნენ: ვირუსები სრულიად დამოუკიდებელი ფორმაა, რომელიც წარმოშობით არც მიკრობებთან არის დაკავშირებული და არც სხვა უმარტივეს ცხოველებთან. ვირუსები, რომლებსაც არსებობა მხოლოდ სიცოცხლისუნარიანი უჯრედის ხარჯზე შეუძლიათ, ჩანს, მის დაღუპვასთან ერთად ქრებიან.

იყო სხვა აზრებიც. „ყოველნაირი ცვლილებანი არსებობის პირობებში,—წერდა ჩარლზ დარვინი,—თუნდაც უაღრესად მცირენი, ხშირად საკმაოა იმისათვის, რომ ცვალებადობა გამოიწვიონო". მართლაც, ცხოველის სიკვდილისა და იმ უჯრედების დაღუპვის შემდეგ, რომლებშიც პარაზიტულად არსებობდა ვირუსი, მისი სიცოცხლის პირობები მკვეთრად იცვლება. ვირუსები თავიანთი სიცოცხლის წესებს რომ არ იცვლიდნენ და პარაზიტებიდან ისეთ არსებებად რომ არ იქცეოდნენ, რომლებიც დამოუკიდებლად პოულობენ საზრდოს, ისინი აუცილებლად დაიღუპებოდნენ. ეს კი უკვე დიდი ხანია გამოიწვევდა დედამიწაზე ყველა ვირუსის მოსპობას. ჩანს, ვირუსებისათვის ერთადერთი შესაძლებლობა—თავი შეინარჩუნონ — სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ სახე იცვალონ და შეეგუონ ახალ პირობებს, რომლებიც უჯრედში დგება ორგანიზმის დაღუპვის შემდეგ. სწორედ ეს შეგუება — ვირუსების მიკრობებად გადაქცევა—ნახა ბოშიანმა.

მიჩურინული ბიოლოგიის პრინციპებმა უჩვენეს ბოშიანს ვირუსებისა და მიკრობების შემდგომ საოცარ გარდაქმნათა შეცნობის გზა. ცხენის ინფექციური ანემიის გამოყოფილ მიკრობს სიცოცხლის პირობები რომ შეუცვალა, მეცნიერმა კვლავ დააბრუნა იგი უხილავ ვირუსისებურ მდგომარეობაში.

მაგრამ მიკრობებისა და ვირუსების გარდაქმნათა წყება აქ როდი წყდებოდა. ერთი არსების მეორე არსებად გარდაქმნის მექანიზმზე დაკვირვებისას ბოშიანმა დაინახა ის, რაც მანამდე არც ერთ მკვლევარს არ დაუნახავს.

...მიკროსკოპის სასაგნო შუშაზეა ანემიით დაავადებული ცხენის გაფილტრული წვეთი სისხლი. ამ სისხლმა განიცადა ისეთი ზემოქმედება, რომლის დროსაც, როგორც ბოშიანმა შეამჩნია, ვირუსები ხილულ ფორმად გარდაიქმნებიან, მიკრობებად იქცევიან.

და აი მეცნიერის თვალწინ წარმოიშვებიან, იზრდებიან რაღაც წარმონაქმნები. ისინი უკვე ცხადად შეიძლება გაარჩიო მიკროსკოპში. კიდევ დამატებითი ზემოქმედება,—და რამდენიმე ხნის შემდეგ ისინი შეუიარაღებელი თვალითაც კი ჩანან. მაგრამ რა არის ეს? კრისტალები! ჩვეულებრივი სუფრის მარილის მსგავსი კრისტალების მთელი კოლონიები. საიდან გაჩნდნენ ისინი? ბოშიანი კვლავ ცვლის იმ პირობებს, რომლებშიც კრისტალები იმყოფებიან. ამჯერად მიკროსკოპის მთელი მხედველობის არე კრისტალების ნაცვლად მოფენილია... ცოცხალი მიკრობებით! დიახ, ასეთია უხილავთა უკანასკნელი გარდაქმნა. მიკრობები და ვირუსები ემორჩილებიან ექსპერიმენტატორის ნებას, რომელიც გარემოს უცვლის მათ, და ხან ერთიმეორედ გარდაიქმნებიან, ხან კრისტალებად იქცევიან. ეს არის ორგანიზმის შეგუება სიცოცხლის გარეგან პირობებთან. საბჭოთა მეცნიერმა გ. მ. ბოშიანმა აღმოაჩინა სიცოცხლის არსებობის ახალი ფორმა—ცილოვანი კრისტალი.

ამ ექსპერიმენტებმა ვეტერინარებს მისცეს ცხენის ანემიასთან ბრძოლის ქმედითი საშუალება.

სიცოცხლის საზღვრები

საბჭოთა მეცნიერმა [illegible] ბოშიანმა გაბედულად უარყო [illegible] მიკრობიოლოგიის [illegible]. პასტერი ამტკიცებდა, რომ მიკრობები იღუპებიან მაღალ ტემპერატურაში. უეჭველად ითვლებოდა, რომ ქირურგიული ინსტრუმენტები და შრატები აბსოლუტურად სტერილური ხდებიან, თუ მათ ერთხანს მოათავსებ ცელსიუსის დაახლოებით 120 გრადუს ტემპერატურაში. დიდი სამამულო ომის შემდეგ განვლილ წლებში (ომის დროს ვეტერინარული სამსახურის მაიორი ბოშიანი განუწყვეტლივ იმყოფებოდა ფრონტზე) გაკეთებულ იქნა მრავალი ცდა. ექსპერიმენტატორთა ჟურნალში ჩანაწერები აღნიშნავენ ერთსა და იმავე შედეგს: სტერილიზაციის ჩვეულებრივი საშუალებანი, გამოხარშვა, ავტოკლავში წნევითაც კი, არ ხოცავს მიკრობებს. ბოშიანის ლაბორატორიაში ორმოც წუთს ადუღეს ცხენის ანემიის გამომწვევი, ორჯერ გაატარეს ავტოკლავის 120 გრადუს ტემპერატურაში, და მაინც უშედეგოდ: ავადმყოფობის გამომწვევი ცოცხალი რჩებოდა. ვირუსებზე მოქმედებდნენ ფორმალინის ხსნარით, ორ დღე-ღამეს ტოვებდნენ მწვავე ნატრიუმის ხსნარში, აშუქებდნენ მზის პირდაპირი სხივებით. მაგრამ როცა ავადმყოფობის ასეთი გამომწვევი შეჰყავდათ ჯანსაღი ცხენების ორგანიზმში, ისინი უთუოდ ავადდებოდნენ.

ზედიზედ ირღვეოდა წინათ თითქოს შეურყეველი საყრდენები პასტერის მოძღვრებისა სტერილიზაციის შესახებ. სიცოცხლის უაღრესად მკაცრ პირობებში მიკროორგანიზმების გამძლეობა შორს გასცილდა ყოველ წარმოსადგენ საზღვარს.

ბოშიანის ლაბორატორიაში იქმნებოდა სტერილიზაციის სრულიად ახალი თეორია. ადუღება და ავტოკლავში გატარება არ ხოცავს მიკრობებს. წყლის ადუღებას ბაქტერიები მხოლოდ გადაჰყავს გადამდები ფორმიდან ადამიანისათვის უვნებელ ფორმაში. ამაში უცნაური არაფერია. ხომ ცნობილია, რომ ისლანდიის გეიზერების მდუღარე წყალში მაღალ ტემპერატურას შეგუებულ ბაქტერიათა მთელი კოლონიები ცოცხლობენ. მიკრობების ნამდვილი დაღუპვა რომ გამოიწვიო, საჭიროა გაცილებით უფრო მკვეთრად შეცვალო მათი არსებობის პირობები, ვიდრე პასტერი ფიქრობდა.

ყველაფერი უჯრედიდანაა?

ასი წლის წინათ გერმანელმა მეცნიერმა ვირხოვმა გამოაცხადა „ბიოლოგიური კანონი", რომელიც მაშინ მეცნიერებამ უყოყმანოდ მიიღო: ყოველი უჯრედი მხოლოდ უჯრედიდან; ყოველივე ცოცხალი — მხოლოდ კვერცხიდანო.

ბოშიანის ცდები სულ სხვას მოწმობდნენ, ვირუსები უჯრედოვანი წარმონაქმნები არ არიან. ესენი არიან ცოცხალი ცილის უმარტივესი ნაწილაკები, ხოლო რომ გაერთიანდებიან და კრისტალიზაციას გაივლიან, იქცევიან უჯრედად—მიკრობად. წინააღმდეგ მსოფლიოში აღიარებული ვირხოვის დოქტრინისა, საბჭოთა მეცნიერი უჯრედოვან წარმონაქმნებს იღებდა ცილიდან. სხვანაირად არც უნდა იყოს. რთული უჯრედი ერთბაშად ვერ წარმოიშვებოდა არაორგანული მატერიიდან. არაორგანიზებული ცილა—ვირუსი—იყო საფეხური ცოცხალსა და არაცოცხალს შორის.

უჯრედის დაყოფის იდეა, რომელიც ბოშიანის ნაშრომებში დამთავრდა, რუსეთის მეცნიერებას ეკუთვნის. ორმოცდაათი წელიწადია იცავდნენ ამ იდეას რუსი მეცნიერები ვირხოვისა და მისი მომხრეების ანტიმეცნიერულ შეხედულებებთან ბრძოლაში. „სიცოცხლის უმარტივესი ელემენტის — უჯრედის — შემდგომი დაყოფის იდეა,—წერდა 1909 წელს აკადემიკოსი ვ. ლ. ომელიანსკი,—ისევე კანონიერია, როგორც იდეა მატერიის უმარტივესი ელემენტის —ატომის — დაყოფისა ელექტრონებად, ელექტრობის ენერგიის მატარებლებად".

საბჭოთა მკვლევარებმა გადამწყვეტი ლახვარი ჩასცეს ვირხოვის დოგმატს „უჯრედი უჯრედიდან".

გ. მ. ბოშიანმა ცდების გზით დაამტკიცა, რომ ცოცხალი ცილის ნაწილაკები — ვირუსები, ისევე როგორც მიკრობები, ფართოდ გავრცელებული არიან ბუნებაში. ისინი შეიძლება იპოვონ ნიადაგში, ჰაერსა და წყალში. ისინი არა მარტო პარაზიტები არიან, არამედ შეუძლიათ მასაზრდოებელ უჯრედს გარეთაც გაძლონ. სიცოცხლის ამ უმცირეს ელემენტებს, ისევე როგორც ყოველივე ცოცხალს, უნარი აქვთ სახე იცვალონ, განვითარდნენ და საზრდოობის სხვადასხვა პირობებს შეეგუონ.

მაგრამ როგორ წარმოიშვნენ თვით ვირუსები? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა არღვევს კიდევ ერთ დოგმას, რომელიც პასტერის დროიდან არსებობს. სიცოცხლე ერთგზის როდი ჩასახულა, როგორც ბევრი თანამედროვე მეცნიერიც კი ამბობს. საბჭოთა მკვლევარები წინადადებას იძლევიან აღიარებულ იქნას ახალი, მათ მიერ დადგენილი კანონზომიერება: სიცოცხლე წარმოიშვება და წარმოიშვებოდა ყოველთვის, როცა ამისათვის სათანადო პირობები არსებობდა. სიცოცხლის უმარტივესი ფორმა—ცილის კოშტები — შედგება ნუკლეოპროტეიდისაგან — ცილისაგან, რომლითაც ბუნება ფრიად მდიდარია. მკვდარ მცენარეთა და დაღუპულ ცხოველთა დაშლა ბევრ ამ მასალას ათავისუფლებს. „მკვდარი" ნუკლეოპროტეიდი, ტენიანობის, ტემპერატურისა და სხვ. სათანადო —და სრულიადაც არა განსაკუთრებულ—პირობებში რომ მოექცევა, შეიძლება გახდეს მასალად უმცირესი, უმარტივესი ცოცხალი ორგანიზმის — ვირუსის შექმნისათვის. საბჭოთა მეცნიერების გამოკვლევანი გადაჭრით აბათილებენ რელიგიურ წარმოდგენებს სიცოცხლის წარმოშობაზე.

• • •

ჩვენს წინაშეა ამ ცოტა ხნის წინათ გამოსული პატარა წიგნი გ. მ. ბოშიანისა—„ვირუსთა და მიკრობთა ბუნების შესახებ". მრავალი ცდის აღწერის შემდეგ მკითხველის წინაშე გადაიშლება საბჭოთა ბიოლოგიის ხვალინდელი დღის წარმტაცი პერსპექტივები. მედიცინა, რომელიც ახალი წარმოდგენებით იხელმძღვანელებს, მიიღებს ქმედით საშუალებას ვირუსებით გამოწვეულ დაავადებათა წინააღმდეგ საბრძოლველად. მეცნიერება მემკვიდრეობითობის შესახებ გადაჭრის ჯერ კიდევ ბუნდოვან ბევრ საკითხს, ცილის ქიმია კიდევ უფრო ღრმად ჩასწვდება „სიცოცხლის ნივთიერების" აღნაგობისა და ორგანიზაციის არსს.

ბოშიანის წიგნი გამსჭვალულია შემოქმედებისა და ნოვატორობის სულისკვეთებით. იგი გამოცემულია იმ დღეებში, როცა ამერიკელი იმპერიალისტები იაპონელ სამხედრო დამნაშავეთა ნიმუშის მიხედვით ქმნიან ლაბორატორიებს მომაკვდინებელი ბაქტერიების გამოსაყვანად, როცა, როგორც ინგლისელი პროფესორი ბერნალი ამბობს, „ახალი იდეების მქონე სულ უფრო და უფრო მეტ ადამიანს აბამენ სამხედრო დარგში სამუშაოდ". გამალებული შეიარაღებისა და ბურჟუაზიის მეცნიერი ლაქიების მიერ მასობრივი მკვლელობის ახალ საშუალებათა შექმნის ვითარებაში საბჭოთა მეცნიერის შესანიშნავი აღმოჩენა საბჭოთა ხალხისა და მისი მოწინავე მეცნიერების დიად ჰუმანურ პრინციპებს მოწმობს.

მარკ პოპოვსკი
(„კომსომოლსკაია პრავდა")

„ერთიანი და მშვიდობისმოყვარე გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისათვის!"

გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის პოლიტბიუროს განცხადება

ბერლინი, 18 მაისი. (საკდესი). როგორც გაზეთი „ნოიეს დოიჩლანდი" იუწყება, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის პოლიტბიურომ 16 მაისის სხდომაზე განიხილა დასავლეთი სახელმწიფოების საგარეო საქმეთა მინისტრების ლონდონის კონფერენციის გადაწყვეტილებანი და ამასთან დაკავშირებით შემდეგი განცხადება გააკეთა:

„იმპერიალისტურმა სახელმწიფოებმა კვლავ ლახვარი ჩასცეს გერმანელ ხალხს. მრავალი დაპირების შემდეგ, რომლებსაც დასავლეთ გერმანიის მოსახლეობაში უნდა გამოეწვია შთაბეჭდილება თითქოს დასავლეთის მაოკუპირებელ სახელმწიფოებს სურთ უახლოეს მომავალში ბონის სახელმწიფოს „აჩუქონ" ომის მდგომარეობის დამთავრება და სუვერენიტეტი, ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრების ლონდონის ახალი გარიგების დროს მიღებულ იქნა გადაწყვეტილებანი, რომლებიც ამ დაპირებათა აშკარა დაცინვას წარმოადგენენ.

გერმანელ ხალხს უმაგალითო ცინიზმით აცნობეს, რომ საოკუპაციო სტატუტი არ გაუქმდება და არც მისი ძირითადი პუნქტები შემსუბუქდება, არამედ გაგრძელდება განუსაზღვრელი დროით.

აჩესონმა, ბევინმა და შუმანმა თავიანთი იმპერიალისტური მთავრობების დავალებით დაადასტურეს, რომ უმაღლესი ხელისუფლება ბონის სეპარატულ სახელმწიფოში კვლავ დასავლეთელი მოკავშირეების ხელში იქნება და რომ იმპერიალისტური საოკუპაციო ჯარები დასავლეთ გერმანიაში დარჩებიან.

იმპერიალისტებისათვის ტიპიური თავხედობითა და მოურიდებლობით დიდი ხნით გადაიდო გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების დადება.

ძალადობის რეაქციული იმპერიალისტური პოლიტიკის ამ ახალი გამოხატულებით ამოიწურება გერმანიის შესახებ ლონდონის კომუნიკეს რეალური მნიშვნელობა. ყოველივე დანარჩენი ლიტონი სიტყვები და მოტყუების ცდაა. ისინი ფაქტების საწინააღმდეგოდ ამტკიცებენ, თითქოს საბჭოთა კავშირს მიუძღვის ბრალი გერმანიის გათიშვაში. ეს დემაგოგიური თამაში აშკარა სიცრუეა, რომელიც გარკვეულ მიზნებს ისახავს. ეს მიზნები ის არის, რომ ყოველ შემთხვევაში შექმნან გერმანელი ხალხის წინააღმდეგ იმპერიალისტთა ახალ აღმაშფოთებელ ღონისძიებათა უფლებამოსილების მოჩვენებითობა. საბჭოთა კავშირი გერმანიის მიმართ ატარებდა პოტსდამის იმ გადაწყვეტილებათა განხორციელების პოლიტიკას, რომლებიც ერთობლივად მიღებულია ყველა მოკავშირის მიერ გერმანიის მშვიდობიანი დემოკრატიული განვითარების უზრუნველსაყოფად. გერმანიის გამთიშველები არიან ომის იმპერიალისტი გამჩაღებლები, რომელთაც სურთ დასავლეთი გერმანია გადააქციონ ახალი, მესამე, მსოფლიო ომის პლაცდარმად.

ლონდონის ახალი შეთქმულება გერმანიის წინააღმდეგ იმას ნიშნავს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის იმპერიალისტური მთავრობები უკვე შეთანხმდნენ იმაზე, რომ ბონის მარიონეტულ სახელმწიფოს არ მისცენ მოქმედების სულ მცირე თავისუფლებაც კი, არ მისცენ არც სუვერენიტეტი, არც თვითგამორკვევის უფლება და ბოლომდე განახორციელონ კოლონიური დამონების პოლიტიკა.

ამავე დროს გადაწყვეტილება ევროპის საბჭოში ბონის „ფედერალური რესპუბლიკის" სასწრაფოდ მიღების შესახებ საბოლოო ანგარიშით წარმოადგენს დასავლეთი გერმანიის შეერთებას ომის ბანაკთან. სრულიად უუფლებო დასავლეთმა გერმანიამ მხოლოდ მორჩილი იარაღის როლი უნდა შეასრულოს დასავლეთის იმპერიალიზმის ველურ ექსპანსიონისტურ და სამხედრო პოლიტიკაში. ადენაუერისა და შუმახერის ტიპის სამშობლოს გამცემთ იმედი ჰქონდათ სამხედრო პლაცდარმად დასავლეთი გერმანიის მორჩილად გადაცემით და საზარბაზნე ხორცად დასავლეთ გერმანიის ახალგაზრდობის გაყიდვით ომის ამერიკელი გამჩაღებლებისაგან წყალობად მიეღოთ ხალხისათვის უცხო და მტრული თავიანთი რეჟიმისადმი მოჩვენებითი დათმობები მაინც.

ლონდონის ახალი გარიგება იმას ნიშნავს, რომ მათ ხელი უნდა აიღონ ამ იმედზეც. ჰაისებს, ადენაუერებსა და შუმახერებს ისე ეპყრობიან, როგორც ლაქიებს. ადენაუერები და ბლიუხერები დაკმაყოფილდნენ ამ როლით, ხოლო შუმახერები, მიუხედავად თავიანთი დემაგოგიური ყალბი მანევრებისა, შეთანხმებული არიან მათთან. ლონდონის 14 მაისის საზიზღარ გარიგებას ადენაუერმა უპასუხა განცხადებით, რომ ლონდონის კომუნიკე გერმანიისათვის თითქოს ყოველმხრივ დამაკმაყოფილებელია.

ამერიკის ბრძანებით ბონის მარიონეტული მთავრობის ეს სასწრაფოდ შეთითხნილი განცხადება წარმოადგენს ყველაზე უხეშ ყალბ მანევრს, როგორიც კი ოდესმე ამ მხრივ გამოუყენებიათ გერმანელი ხალხის წინააღმდეგ. ადენაუერის განცხადება სავსებით ეწინააღმდეგება ნამდვილ აზრსა და მიზნებს ლონდონის ახალი გარიგებისას, რომელიც ნიშნავს დასავლეთი გერმანიის შემდგომი კოლონიური დამონების გაძლიერებას, ამერიკის იმპერიალიზმისა და მისი მოკავშირეების მიერ ცივი ომის ახალ გაძლიერებას და რომელსაც თან ახლავს ტერორის ახალი ტალღა მშვიდობისა და დემოკრატიის ძალების წინააღმდეგ დასავლეთ გერმანიასა და დასავლეთ ბერლინში.

ამგვარი პოლიტიკით სრულიად გამოიაშკარავეს თავი არა მარტო დასავლეთელმა იმპერიალისტებმა, არამედ მათმა დასავლეთგერმანელმა ხელშემწყობებმაც, რომლებმაც ერის გამცემლობით, რასაც ისინი ომის დამთავრების დღიდან ახორციელებენ, შესაძლებელი გახადეს ეს უხეში ძალადობა გერმანელი ხალხის ორი მესამედის მიმართ.

ეს ახალი გამცემლობა მოხდა მაშინვე, როცა ადენაუერები და შუმახერები დაეთანხმნენ ეგრეთწოდებულ შუმანის გეგმას, დასავლეთ გერმანიისა და საფრანგეთის ქვანახშირისა და მძიმე მრეწველობის „გაერთიანების" გეგმას. გერმანიის შესახებ ლონდონის კომუნიკეს შემდეგ სავსებით ცხადი გახდა, თუ რა აზრი აქვს ამ გეგმას, სახელდობრ: ბონის სეპარატული სახელმწიფო ჩააყენონ ისეთ უუფლებო და უმწეო მდგომარეობაში, რომელიც დასავლეთელ იმპერიალისტებს ესაჭიროებათ იმისათვის, რომ მთელი დასავლეთ გერმანიის ქვანახშირისა და მძიმე მრეწველობა გამოგლიჯონ ბონის რესპუბლიკის ეკონომიურ სტრუქტურას და გადასცენ საერთაშორისო დიდ ტრესტს, ამერიკის ფოლადის მეფეებსა და საფრანგეთის „კომიტე დე ფორჟეს". ამრიგად, რურის სტატუტის კაბალური პირობები გაძლიერდება და გაფართოვდება. საარის ოლქის აშკარა ანექსიას ახლა უნდა მოჰყვეს მთელი გერმანიის ქვანახშირისა და მძიმე მრეწველობის გულდასმით შენიღბული ანექსია.

ეს არის სამშობლოს ყველაზე სამარცხვინო გამცემლობა და მას საბედისწერო შედეგები ექნება გერმანელი ხალხისათვის და მშვიდობისათვის ევროპაში!

შუმანის გეგმა და გერმანიის შესახებ ლონდონის კომუნიკეს ტექსტი მთლიანად ეწინააღმდეგება პოტსდამის შეთანხმებას და გერმანიის შესახებ ყველა იმ სხვა შეთანხმებათა შინაარსსა და ფორმას, რომლებიც ყველა მოკავშირემ ერთობლივად დადო.

ამრიგად, ისინი ეწინააღმდეგებიან საერთაშორისო სამართალს, როგორც ამ სამართალს ეწინააღმდეგება აგრეთვე საარის ოლქის ანექსია. გერმანელი ხალხი ვერ ცნობს და არც არასოდეს ცნობს მათ.

მაგრამ იმპერიალისტთა სამარცხვინო საქმეებმა უნდა გააძლიერონ და კიდევაც გააძლიერებენ გერმანელი ხალხის მისწრაფებას თვითგამორკვევისაკენ და თავისი მშვიდობიანი და თავისუფალი მომავლის უზრუნველყოფისაკენ. კვლავ დადასტურდა საბჭოთა ხალხთან გერმანელი ხალხის მეგობრობის პოლიტიკის სისწორე. საბჭოთა ხალხმა კვლავ ცხადყო, რომ იგი გერმანიის საუკეთესო მეგობარია და ჩვენს ხალხს მისცა მშვიდობიანი მშენებლობის შესაძლებლობა და თავისუფლებისმოყვარე და მშვიდობისმოყვარე ხალხთა თანამეგობრობაში დაბრუნების შესაძლებლობა. სარეპარაციო გადასახდელთა შემცირების შესახებ გადაწყვეტილებით, რაც სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ გენერალისიმუსმა სტალინმა 15 მაისის დეპეშით აცნობა პრემიერ-მინისტრ ოტო გროტევოლს, საბჭოთა კავშირის მთავრობამ ჩვენ ახალი სულგრძელი მეგობრული სამსახური გაგვიწია. გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში მშვიდობიანი მეურნეობის აშენება და ფართო მასების ცხოვრების გაუმჯობესება ახლა შეიძლება უფრო ჩქარი ტემპით მოხდეს, მაშინ როცა დასავლეთ გერმანიაში ძლიერდება უმუშევრობა, ძვირდება საქონელი და სურსათი და მცირდება ხელფასი.

გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტია მოუწოდებს დასავლეთ გერმანიის მუშებს და მშრომელებს, მთელ დემოკრატიულ და პატრიოტულ ძალებს იმოქმედონ ისე, როგორც შექმნილი მდგომარეობა მოითხოვს, ე. ი. გაშალონ აქტიური ეროვნული წინააღმდეგობა და გაშალონ მშვიდობისათვის ბრძოლის ფართო, ყოვლისმომცველი ფრონტი. ლონდონის შეთქმულების პასუხად უნდა დავაბრკოლოთ სამხედრო მასალების გადმოზიდვა, გავაძლიეროთ წინააღმდეგობა დემონტაჟის მიმართ, ნეოფაშიზმის მიმართ, ვიბრძოლოთ ხალხის რეალური უფლებებისა და შრომის უფლებისათვის, რათა მთელი გერმანიისათვის უზრუნველვყოთ მშვიდობისა და დემოკრატიის გზა, რომელსაც შეუძლია აღმავლობისა და საუკეთესო მომავლის უზრუნველყოფა.

დასავლეთი სახელმწიფოების საგარეო საქმეთა მინისტრების ლონდონის გადაწყვეტილებებმა უნდა მოსპონ პარტიულ-პოლიტიკური და იდეოლოგიური ბარიერი მთელი გერმანიის დემოკრატებსა და პატრიოტებს შორის. მათ მოსახლეობას უნდა ჩაუნერგონ იმის შეგნება, რომ ინგლისელ-ამერიკელ იმპერიალისტთა და მათ გერმანელ თანაშემწეთა წინააღმდეგ მხოლოდ გადამწყვეტი ბრძოლით შეიძლება მოვუპოვოთ გერმანელ ხალხს მშვიდობა და თავისუფალი არსებობა.

დასავლეთი მაოკუპირებელი სახელმწიფოების დანაშაულებრივმა პოლიტიკამ უნდა გააერთიანოს ყველა გერმანელი მშრომელი და პატრიოტი დემოკრატიული გერმანიის ეროვნული ფრონტის მოთხოვნებისა და მიზნების განხორციელებისათვის ბრძოლაში.

მაშ, გაორკეცებული ძალით:

გერმანიის ერთიანობისათვის!

მთელ გერმანიასთან დემოკრატიული საზავო ხელშეკრულების დადებისათვის!

გერმანიიდან ყველა საოკუპაციო ჯარის გაყვანისათვის!

ერთიანი და მშვიდობისმოყვარე გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისათვის!"

„სულგრძელობისა და ნდობის ახალი დადასტურება!"

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა და დროებითი პალატა მადლობას უძღვნიან საბჭოთა კავშირის მთავრობას და პოლონეთის რესპუბლიკის მთავრობას სარეპარაციო გადასახდელთა თანხის შემცირებისათვის

ბერლინი, 18 მაისი. (საკდესი). გუშინ ბერლინში გაიმართა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დროებითი სახალხო პალატის მე-16 სხდომა.

დღის წესრიგის პირველი პუნქტი იყო გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დროებითი მთავრობის განცხადება გერმანიის სარეპარაციო გადასახდელთა თანხის შემცირების შესახებ საბჭოთა კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დროებითი მთავრობის სახელით სიტყვა წარმოთქვა პრემიერ-მინისტრმა ოტო გროტევოლმა.

თავისი სიტყვის დასაწყისში გროტევოლმა აღნიშნა, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელთა ენთუზიაზმის მეოხებით მიღწეულ იქნა მნიშვნელოვანი წარმატებანი პროდუქციის გამოშვებაში და რომ ამან თავის მხრივ შესაძლებელი გახადა სარეპარაციო ვალდებულებათა პუნქტუალური შესრულება. გროტევოლმა მოაგონა სხდომას, რომ ამ ფაქტის საფუძველზე და იმის გამო, რომ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში საძირკველი ჩაეყარა ახალ დემოკრატიულ წყობილებას, გერმანიის ერთიანმა სოციალისტურმა პარტიამ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას მიმართა წინადადებით — ეთხოვა საბჭოთა კავშირის მთავრობისათვის გერმანიის სარეპარაციო გადასახდელთა თანხის შემცირება.

შემდეგ გროტევოლმა გამოაქვეყნა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მიერ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის გენერალისიმუს სტალინისათვის გაგზავნილი მიმართვა, რომელიც შეიცავდა თხოვნას გერმანიის სარეპარაციო გადასახდელთა თანხის შემცირების შესახებ, და საბჭოთა მთავრობის პასუხი, რომელშიც ნათქვამია, რომ გადაწყდა 50 პროცენტით შემცირდეს სარეპარაციო გადასახდელთა დარჩენილი თანხა.

„გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დროებითი მთავრობა, — განაგრძო გროტევოლმა, — გერმანელი ხალხის სახელით მადლობას უძღვნის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობას და პოლონეთის რესპუბლიკის მთავრობას მათი სულგრძელი გადაწყვეტილებისათვის — 50 პროცენტით შეამცირონ გერმანიის სარეპარაციო ვალდებულებათა დარჩენილი თანხა და არსებითად შეამსუბუქონ ამ ვალდებულებათა შესრულება — 15 წლით მათი განაწილვადების გზით.

მშვიდობიანი აღდგენის მიზანდასახული პოლიტიკა და ჩვენი მშრომელების ღონისძიებანი ნაყოფს იძლევიან. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობის გადაწყვეტილება დიდად შეუწყობს ხელს ჩვენი ახალი სახალხო მეურნეობის მშენებლობის დაჩქარებას, მეურნეობისა, რომელიც მშვიდობის საქმეს ემსახურება, ხელს შეუწყობს ჩვენი სამეურნეო და კულტურული ცხოვრების ყველა დარგში ტექნიკური განვითარების გაძლიერებას. შესაძლებელი იქნება მოსახლეობის საარსებო მდგომარეობის შემდგომი უფრო სწრაფი გაუმჯობესება.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილება ჩვენ მიგვაჩნია საბჭოთა კავშირის ხალხების სულგრძელობისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისადმი ნდობის ახალ დადასტურებად. ამ პოზიციას საფუძვლად უდევს ნამდვილი მეგობრული მჭიდრო კავშირის გრძნობა".

შემდეგ გროტევოლი შეეხო გერმანელი ხალხის მიმართ ბონის ხროვის გამცემლურ პოლიტიკას და დასავლეთი სახელმწიფოების საოკუპაციო ხელისუფალთა იმპერიალისტურ პოლიტიკას.

დასასრულ გროტევოლმა განაცხადა: „გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა მოუწოდებს მთელ გერმანელ ხალხს ყოველმხრივ გააძლიეროს ბრძოლა დემოკრატიული გერმანიის ეროვნული ფრონტის მოთხოვნებისა და მიზნების განხორციელებისათვის".

კამათში მონაწილეობა მიიღეს პარლამენტის ყველა ჯგუფის წარმომადგენლებმა. გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის სახელით ილაპარაკა დეპუტატმა აკერმანმა, ქრისტიან დემოკრატთა კავშირის პარტიისა — დეპუტატმა რიუკერტმა, ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიისა — დეპუტატმა ლიბლერმა, სოციალ-დემოკრატიული პარტიისა — ბურდემ, ნაციონალურ-დემოკრატიული პარტიისა — კენიგმა, გლეხთა დემოკრატიული პარტიისა — ჰოფმანმა, პროფკავშირებისა და გერმანელი ახალგაზრდობის კავშირის სახელით — დეტერმა. კამათის მონაწილე ყველა ორატორმა ერთსულოვნად გამოთქვა მადლობა საბჭოთა კავშირის მთავრობისადმი — სულგრძელი გადაწყვეტილებისათვის გერმანიის სარეპარაციო გადასახდელთა თანხის შემცირების შესახებ და ეს გადაწყვეტილება შეაფასა, როგორც გერმანელი ხალხის დემოკრატიული ძალებისადმი ნდობის დადასტურება.

პალატამ ერთხმად მიიღო შემდეგი რეზოლუცია:

„გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დროებითი სახალხო პალატა ერთსულოვნად იწონებს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დროებითი მთავრობის განცხადებას გერმანიის სარეპარაციო გადასახდელთა შემცირების შესახებ სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტილების გამო და დიდ მადლობას უძღვნის საბჭოთა კავშირის მთავრობას.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობის გადაწყვეტილება ერთხელ კიდევ მოწმობს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისადმი მეგობრულ ნდობას და ქმედით დახმარებას, რომელიც საშუალებას იძლევა გაგრძელდეს გერმანელი ხალხის სამშვიდობო მეურნეობის განვითარება და გაუმჯობესდეს მისი ცხოვრების პირობები.

დროებითი სახალხო პალატას ეს სულგრძელი გადაწყვეტილება მიაჩნია იმ გზის სისწორის დადასტურებად, რომლითაც გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა ცდილობს გადაწყვიტოს და კიდევაც გადაწყვეტს გერმანელი ხალხის საარსებო საკითხებს — მიაღწევს მშვიდობას, ერთიანობასა და დამოუკიდებლობას დემოკრატიის საფუძველზე". (საკდესი).

მოსკოვიდან გაემგზავრა ბ-ნი ტრიუგვე ლი

19 მაისს მოსკოვიდან გაემგზავრა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი ბ-ნი ტრიუგვე ლი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის თანაშემწის კ. ე. ზინჩენკოს და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პრესაში არსებული საინფორმაციო ცენტრის დირექტორის ბ-ნ ო. რიტერის თანხლებით.

ვნუკოვოს აეროდრომზე ბ-ნი ტრიუგვე ლი გააცილეს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ა. ა. გრომიკომ, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საქმეთა განყოფილების გამგის მოვალეობის აღმსრულებელმა ა. ა. როშჩინმა, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მოსკოვში არსებული საინფორმაციო ცენტრის დირექტორმა მ. ს. ვავილოვმა და ნორვეგიის საქმეთა დროებითმა რწმუნებულმა ბ-ნმა პ. აკრემ. (საკდესი).

საქართველოს რადიოინფორმაციის კომიტეტის გადაცემათა პროგრამა

21 მაისისათვის

(რადიოსადგურებით 1224 და 49,59 მეტრ ტალღებზე და ქალაქის სატრანსლაციო ქსელით)

7.20—გადაცემა გლეხობისათვის: „საკოლმეურნეო წარმოების აღრიცხვის გაუმჯობესება — კოლმეურნეობების ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცების საფუძველია". 12.00—ალ. ბუკიას ოპერა „დაუპატიჟებელი სტუმრების" ტრანსლაცია თბილისის ოპერის თეატრიდან. 15.00—გადაცემა მოსწავლეთათვის: ბუბნოვის რომანის: „თეთრი არყის ხის" რადიოინსცენირება. 15.45—ვალსები. 16.00—ლიტერატურულ-დრამატული გადაცემა ციკლიდან „თეატრი მიკროფონთან": სცენები სპექტაკლ „ნაპერწკლიდან". 17.20—ქართული ხალხური სიმღერები. 17.40—გადაცემა მოსწავლეთათვის: „საუბარი „არსენა ოძელაშვილი". 18.20—კონცერტი საქართველოს რადიოკომიტეტის სოლისტის ეთერ წვერავას შესრულებით. 19.00—კონცერტი რადიომსმენელთა თხოვნით. 20.30—კამერული მუსიკის კონცერტი. 20.45—საუბარი ციკლიდან „სახალხო დემოკრატიის ქვეყნების ლიტერატურა". 21.05—სიმფონიური მუსიკის კონცერტი: პროგრამაში ჩაიკოვსკის და ბოროდინის ნაწარმოებები. 21.40—საუბარი: „ბურჟუაზიული დემოკრატია—ხალხის მასების დამონების იარაღია". 23.00—პოპულარული მუსიკის კონცერტი.

მოჭადრაკეთა მატჩ-ტურნირი ოსტატების მონაწილეობით

18 მაისს მოხდა გადადებულ პარტიათა დამთავრება. გაგუა გაუთამაშებლად დანებდა სოროკინს. გაუთამაშებლად დანებდა აგრეთვე სოროკინი ბუსლაევს. ბლაღიძემ წააგო სოროკინთან. არ დამთავრებულა და კვლავ გადაიდო ბანიკ-გერშკოვიჩის პარტია.

თეატრებში

20 მაისს: ოპერისა და ბალეტის—„კარმენი" (ვ. დავიდოვას და ნ. ხანაევის მონაწილეობით); **მარჯანიშვილის სახელობის**—„ურიელ აკოსტა"; **გრიბოედოვის სახელობის**—„ხელსაყრელ ადგილზე"; **სომხური დრამის**—„პატიოსნებისათვის"; **მუსიკალური კომედიის**—„სიმღერა სიყვარულზე"; **მოზარდ მაყურებელთა ქართული**—„გაქვავებული ქალიქი" (32-ე აბ. 3 ს.), „მშვიდობის მტრედები" (8 ს.); **მოზარდ მაყურებელთა რუსული** — „ფინისტი" (10, 2 ს.), „სიმწიფის მოწმობა" (8 ს 30 წ.).

პასუხისმგებელი რედაქტორი
ბ. ნანიტაშვილი

საფრანგეთის ნავსადგურ „ლა პალისის" დოკერების მამაცური ბრძოლა

პარიზი, 18 მაისი. (საკდესი). გაზეთი „ლუმანიტე" ამხილებს ზოგიერთი გაზეთის მიერ გამოქვეყნებულ ფრანს პრესის სააგენტოს ცნობას, რომ ნავსადგურ ლა-პალისის დოკერებმა თავიანთ კრებაზე თითქოს მიიღეს გადაწყვეტილება ჩატვირთონ და გადმოტვირთონ ყოველგვარი სამხედრო ტვირთი.

ნამდვილად, აღნიშნავს „ლუმანიტე", გუშინდელ კრებაზე ნავსადგურ ლა-პალისის დოკერებმა მიიღეს რეზოლუცია, რომლითაც ისინი „უცხადებენ ყველას, ვინც მათ მიმართ შანტაჟის საზიზღარ მეთოდებს იყენებს, შიმშილს ემუქრება და მათი საშინელი სიღატაკით სპეკულაციას ეწევა, რომ დოკერებს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი განაგრძონ ბრძოლა, რომელსაც ისინი თვეების განმავლობაში ეწევიან, არ ჩატვირთავენ ინდო-ჩინეთში ბინძური ომის განსაგრძობად განკუთვნილ სამხედრო მასალებს და არ გადმოტვირთავენ ამერიკის სამხედრო მასალებს".

ნავსადგურ ლა-პალისის უმუშევრები თავიანთ კრებაზე მხურვალედ მიესალმნენ დოკერების მამაცურ პოზიციას. მათ განაცხადეს, რომ უარს იტყვიან შეცვალონ დოკერები მათს სამუშაოზე და არ ჩატვირთავენ და გადმოტვირთავენ სამხედრო მასალებს.

უნგრეთის გაზეთები აღნიშნავენ ა. ვ. სუვოროვის გარდაცვალების 150 წლისთავს

ბუდაპეშტი, 18 მაისი. (საკდესი). უნგრეთის ყველა დღევანდელი გაზეთი აღნიშნავს დიდი რუსი მხედართმთავრის ალექსანდრე ვასილის-ძე სუვოროვის გარდაცვალების 150 წლისთავს.

„საბჭოთა ხალხი,—წერს გაზეთი „საბად ნეპი",—სათუთად ინახავს სუვოროვის ხსოვნას. მის შესანიშნავ მემკვიდრეობას საპატიო ადგილი უკავია უძლეველი საბჭოთა არმიის ტრადიციებში. სუვოროვის სახელოვანი საბრძოლო ტრადიციები უფრო გაძლიერდა დიდ სამამულო ომში, როცა საბჭოთა არმიამ თავისი გენიალური მხედართმთავრის გენერალისიმუს სტალინის ხელმძღვანელობით მსოფლიო-ისტორიული გამარჯვება მოიპოვა ფაშისტურ იმპერიალიზმზე".

გაზეთი „ნეპსავა" ათავსებს ა. ვ. სუვოროვის მოკლე ბიოგრაფიას და დასასრულ წერს:

„ყველა დროის უდიდესი მხედართმთავრის, გენიალური სტალინის მიერ შექმნილმა საბჭოთა სამხედრო მეცნიერებამ შეითვისა ყოველივე, რაც მოწინავე სამხედრო მეცნიერებამ შექმნა, ხოლო ამ მეცნიერების ერთ-ერთი გამოჩენილი წარმომადგენელი იყო ალექსანდრე სუვოროვი — დიდი პატრიოტი, რუსი ხალხის ენიჭიერესი შვილი".

გაზეთები „საბად სო" და „მადიარ ნემზეტი" სარედაქციო სტატიებს უძღვნიან სუვოროვის გარდაცვალების 150 წლისთავს.

განრიგება

სამგზავრო მატარებელთა მიმოსვლისა თბილისის სამგზავრო სადგურში 1950 წლის ზაფხულისათვის 21 მაისიდან

თბილისიდან გადის			ჩადის დანიშნულების სადგურში	თბილისში მოდის			გამოდის საწყისი სადგურიდან
სწრაფი № 10 მოსკოვამდე	7 ს. 05 წ.	განსაკუთრ. განკარგულებით შაბათს ორშაბათს ხუთშაბათს	20 ს. 55 წ.	სწრაფი № 9 მოსკოვიდან	6 ს. 00 წ.	განსაკუთრ. განკარგულებით პარასკევს კვირას და სამშაბათს	14 ს. 00 წ.
ჩქარი № 14 მოსკოვამდე	19 ს. 25 წ.	ყოველდღე	14 ს. 30 წ.	ჩქარი № 13 მოსკოვიდან	11 ს. 45 წ.	ყოველდღე	15 ს. 55 წ.
" № 16 კისლოვოდსკამდე	0 ს. 10 წ.	განსაკუთრ. განკარგულებით გადის ყოველი თვის 4, 9, 14, 19, 24 და 29 რიცხვს	14 ს. 35 წ.	" № 15 კისლოვოდსკიდან	11 ს. 00 წ.	განსაკუთრ. განკარგულებით მოდის ყოველი თვის 3, 8, 13, 18, 23 და 28 რიცხვს	23 ს. 15 წ.
სამგზავ. № 41 ბაქომდე	21 ს. 40 წ.	ყოველდღე	15 ს. 25 წ.	სამგზავრო № 42 ბაქოდან	14 ს. 55 წ.	ყოველდღე	21 ს. 30 წ.
" № 44 ქუთაისამდე	13 ს. 35 წ.	"	20 ს. 30 წ.	" № 43 ქუთაისიდან	8 ს. 15 წ.	"	0 ს. 20 წ.
" № 46 სოხუმამდე	21 ს. 50 წ.	კენტ რიცხვებში	11 ს. 45 წ.	" № 45 სოხუმიდან	14 ს. 10 წ.	კენტ რიცხვებში	0 ს. 01 წ.
" № 48 ბათუმამდე	20 ს. 25 წ.	ყოველდღე	9 ს. 50 წ.	" № 47 ბათუმიდან	9 ს. 15 წ.	ყოველდღე	20 ს. 55 წ.
" № 50 ფოთამდე	0 ს. 50 წ.	"	12 ს. 55 წ.	" № 49 ფოთიდან	4 ს. 30 წ.	"	17 ს. 25 წ.
" № 51 ერევნამდე	16 ს. 00 წ.	"	8 ს. 25 წ.	" № 52 ერევნიდან	7 ს. 30 წ.	"	15 ს. 10 წ.
" № 53 ერევნამდე	23 ს. 00 წ.	"	15 ს. 45 წ.	" № 54 ერევნიდან	14 ს. 30 წ.	"	22 ს. 10 წ.
" № 56 სოჭამდე	11 ს. 10 წ.	ლუწ რიცხვებში	6 ს. 25 წ.	" № 55 სოჭიდან	5 ს. 30 წ.	ლუწ რიცხვებში	11 ს. 20 წ.
" № 58 ბათუმამდე	16 ს. 20 წ.	ლუწ რიცხვებში	5 ს. 15 წ.	" № 57 ბათუმიდან	22 ს. 20 წ.	კენტ რიცხვებში	9 ს. 35 წ.
" № 60 კრასნოდარამდე	12 ს. 30 წ.	განსაკუთრ. განკარგულებით კენტ რიცხვებში	5 ს. 05 წ.	" № 59 კრასნოდარიდან	5 ს. 00 წ.	განსაკუთრ. განკარგულებით კენტ რიცხვებში	11 ს. 30 წ.
" № 62 როსტოვამდე	12 ს. 30 წ.	განსაკუთრ. განკარგულებით ლუწ რიცხვებში	6 ს. 23 წ.	" № 61 როსტოვიდან	5 ს. 00 წ.	განსაკუთრ. განკარგულებით ლუწ რიცხვებში	11 ს. 25 წ.
" № 63 წნორისწყლამდე	10 ს. 35 წ.	ყოველდღე	19 ს. 05 წ.	" № 64 წნორისწყლიდან	5 ს. 35 წ.	ყოველდღე	20 ს. 55 წ.
" № 65 წნორისწყლამდე	18 ს. 50 წ.	"	3 ს. 20 წ.	" № 66 "	13 ს. 40 წ.	"	5 ს. 00 წ.
" № 67 თელავამდე	21 ს. 10 წ.	"	6 ს. 25 წ.	" № 68 თელავიდან	16 ს. 55 წ.	"	7 ს. 45 წ.
" № 70 ბორჯომამდე (სექცია)	8 ს. 30 წ.	"	13 ს. 05 წ.	" № 69 ბორჯომიდან (სექცია)	20 ს. 55 წ.	"	16 ს. 30 წ.
" № 72 ბორჯომამდე (სექცია)	18 ს. 00 წ.	"	22 ს. 30 წ.	" № 71 ბორჯომიდან (სექცია)	8 ს. 45 წ.	"	4 ს. 15 წ.
" № 76 ვალემდე	22 ს. 30 წ.	"	7 ს. 00 წ.	" № 75 ვალედან	17 ს. 30 წ.	"	7 ს. 35 წ.
" № 78 ხაშურამდე	5 ს. 43 წ.	"	10 ს. 25 წ.	" № 77 ხაშურიდან	19 ს. 15 წ.	"	15 ს. 20 წ.
" № 80 სტალინირამდე	16 ს. 50 წ.	"	21 ს. 35 წ.	" № 79 სტალინირიდან	6 ს. 30 წ.	"	1 ს. 20 წ.
საგარეუბნო № 102 გორამდე (სექცია)	10 ს. 10 წ.	"	12 ს. 35 წ.	საგარეუბნო № 101 გორიდან (სექცია)	15 ს. 45 წ.	"	13 ს. 20 წ.
" № 103 მთ. არხამდე (სექცია)	5 ს. 25 წ.	"	6 ს. 40 წ.	" № 104 მთ. არხიდან (სექცია)	8 ს. 20 წ.	"	7 ს. 00 წ.
" № 105 ყარაიამდე (სექცია)	9 ს. 15 წ.	"	10 ს. 35 წ.	" № 106 ყარაიიდან (სექცია)	12 ს. 25 წ.	"	11 ს. 00 წ.
" № 107 მთ. არხამდე (სექცია)	14 ს. 40 წ.	"	15 ს. 55 წ.	" № 108 მთ. არხიდან (სექცია)	17 ს. 35 წ.	"	16 ს. 20 წ.
" № 109 მთ. არხამდე (სექცია)	18 ს. 30 წ.	"	19 ს. 35 წ.	" № 110 მთ. არხიდან (სექც.)	21 ს. 00 წ.	"	19 ს. 55 წ.
" № 111 მთ. არხამდე (სექცია)	7 ს. 35 წ.	"	8 ს. 43 წ.	" № 112 მთ. არხიდან (სექცია)	10 ს. 20 წ.	"	9 ს. 04 წ.
" № 113 სოღანლუღამდე	3 ს. 55 წ.	"	4 ს. 45 წ.	" № 114 სოღანლუღიდან	6 ს. 10 წ.	"	5 ს. 05 წ.
" № 115 "	6 ს. 45 წ.	"	7 ს. 36 წ.	" № 116 "	9 ს. 00 წ.	"	8 ს. 05 წ.
" № 117 "	16 ს. 45 წ.	"	17 ს. 41 წ.	" № 118 "	19 ს. 00 წ.	"	18 ს. 05 წ.
" № 122 მცხეთამდე (სექცია)	6 ს. 10 წ.	"	6 ს. 55 წ.	" № 121 მცხეთიდან (სექცია)	7 ს. 52 წ.	"	7 ს. 06 წ.
" № 124 " "	15 ს. 05 წ.	"	15 ს. 50 წ.	" № 123 " "	17 ს. 05 წ.	"	16 ს. 08 წ.
" № 126 " "	23 ს. 10 წ.	განსაკუთრ. განკარგულებით	23 ს. 57 წ.	" № 125 " "	1 ს. 05 წ.	განსაკუთრ. განკარგულებით	0 ს. 11 წ.

მატარებლის გასვლა და მოსვლა ნაჩვენებია **მოსკოვის** დროით

შვილები თამარ და მიშა, რძალი ნაზო თაბუკაშვილი იუწყებიან დედის **სონია ბარამიძის** გარდაცვალებას.

დედა პელაგია, და ნუნუ, აღმზრდელი სოლომონ, მარიამ, გუგუ, გოგოლა, ნათელა ქუთათელაძეები, ქ. გეგეჭკორი ოჯახით, გივი გოცირიძე იუწყებიან **მიხეილ ბაგრატის-ძე ქუთათელაძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 20-V, 8 ს. გამოსვენება 21-V, 5 ს. მარჯანიშვილის, 16.

შვილები დიომიდე, ივანე, კატო, ირინე, მარო, რძლები ლუბა, ეთერ იუწყებიან **ატატო ალექსანდრეს ასულ ხურგულაძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 21-V, ჰანიეთში (მახარაძის რაიონი).

აგრაფინა ალხანაშვილი, თამარ ალხანაშვილი-ღვინიანიძისა, თაილი, ზაირა და ილთამ ღვინიანიძეები იუწყებიან, რომ 21-V, 2 ს. კუკიის სასაფლაოზე დანიშნულია **იაკო გიორგის-ძე ალხანაშვილის** და ექიმ **ილია ჯაოსის-ძე ღვინიანიძის** პანაშვიდი.

ძმისწულები აკაკი, ნოე, გერმანე, ანა, რძლები ვალია, თამარ, ლუბა შვილებით, სიძე ისაკი მეფარიშვილი იუწყებიან **კოსტა კონსტანტინეს-ძე მიქაშავიძის** გარდაცვალებას.

მეუღლე ანა, შვილები ზამირა და რარა ქარქაშაძეები იუწყებიან, რომ 21-V, 3 ს. კუკიის სასაფლაოზე დანიშნულია **შალვა მიხეილის-ძე ქარქაშაძის** პანაშვიდი.

ქმარი და შვილები გულჩინა და ნოე, დები თამარ, ელენე, ნინო, ვერა, ბიძა ვალერიან ცოლშვილით, სიძეები რ. გეგეჩკორი, ა. დუნდუა, ვ. შენგელია შვილებით იუწყებიან **გიორგი ნოეს-ძე ხულავას** გარდაცვალებას. დაკრძალვა 23-V, სოფ. ილორში, (სამტრედიის რაიონი).

„თბილხილბოსტანვაჭრობის" მუშა-მოსამსახურეთა კოლექტივი თანაგრძნობას უცხადებს გ. ვასილიანს და დ. ამაშუკელს მათი დედის **ნინო არსენის ასულ ზასილოვას** გარდაცვალების გამო.

მშობლები ანასტასია და ვასილ, დები ქენია, ლუბა, ძმა გოგი ბედოშვილები იუწყებიან, რომ 21-V, 2 ს. ვაკის სასაფლაოზე დანიშნულია **მარო ვასილის ასულ ბედოშვილის** პანაშვიდი.

შვილები გოგია, მარო, ანიკო, სიძეები იოსებ ბეიტრიშვილი, გიორგი ტრუბეცკი, რძალი თამარ ჰაბაშვილი, შვილიშვილები ეთერ, ნათელა, ჯემალ, მარიცა იუწყებიან **ევა იორდანეს ასულ ახმეტელის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 20-V, 8 ს. გამოსვენება 21-V, 4 ს. სოხუმის, 3.

და ოლღა რუხაძე შვილებით, რძლებით, სიძეებით და შვილიშვილებით იუწყება **ილარიონ დიმიტრის-ძე ტორონჯაძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 21-V, ქ. სამტრედიაში. გამოსვენება ნინოშვილის, 7.

ქ. კეკელიძე, ვ. ბერიძე, ქ. სიხარულიძე, ნ. ჩიქოვანი, ს. ყუბანეიშვილი, ტ. რუხაძე, თ. ბეგიაშვილი, ლ. მენაბდე, ნ. მახათაძე თანაუგრძნობენ პროფესორ ალ. ბარამიძეს მისი დედის **სოფიო მიხეილის ასულ ბარამიძის** გარდაცვალების გამო.

მეუღლე ნინო, შვილი ქეთევან იუწყებიან, რომ 21-V, 2 ს. ვაკის სასაფლაოზე დანიშნულია **ვიქტორ გაბრიელის-ძე ბალანჩივაძის** პანაშვიდი.

შვილები ბარბარე, სონია, მარგარიტა, თამარ, ნინო, ვანო, შალვა, შოთა, სიძეები გ. ახმეტელაშვილი, რ. გაბრიელოვი და შვილიშვილები იუწყებიან **მარიამ პაატას ასულ კუპრაძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 20-V, ბორჯომში, ჰავჭავაძის, 5.

მეუღლე ქეთევან, შვილები შოთა და ვახტანგ, რძალი რუსიკო, შვილიშვილი ვახტანგ იუწყებიან, რომ 21-V, 2 ს. ქ. ქუთაისში საფიჩხიის სასაფლაოზე დანიშნულია **პლატონ კონსტანტინეს-ძე ბოკერიას** პანაშვიდი.

ტ. აზნიანიძე, ნ. ანდრიაძე, მ. გეგელაშვილი, ა. კაკაბაძე, პ. კვირკელია, გ. და ზ. კვიტაშვილები, ნ. ლექავა, გ. მარგველაშვილი, ნ. მიქელაძე, შ. სანიკიძე, გ. სალარაძე, ნ. სიხარულიძე იუწყებიან, რომ 21-V, 12 ს ვაკის სასაფლაოზე დანიშნულია **ლიზა და გიორგი ანდრიაძეების** პანაშვიდი.

შვილები კოლა, გრიშა, სონა, მარგალიტა, მარო, რძლები ოლია, ნინო, თამარ ოჯახებით იუწყებიან **ნინო ავეტის ასულ მირიანაშვილის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 21-V, ქუთაისში, გამოსვენება მახარაძის მესამე შეს., 6.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3-08-67, სამდივნოსი—3-06-88 განყოფილებებისა: პროპაგანდისა და პარტიული ცხოვრების — 3-81-84, სასოფლო სამეურნეოსი — 3-57-61, სამრეწველო-სატრანსპორტოსი და საბჭოთა მშენებლობისა — 3-80-83, კულტურის, ფაცხოვრებისა და ინფორმაციის—3-80-84, ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელისა და მშრომელთა წერილების — 3-73-24, მორიგისა და გამომშვების — 3-81-65, გამომცემლობისა — 3-51-81, სტამბის დირექტორის — 3-77-70.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 00456